

საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება

1. სამკვიდროს მიღება და მასზე უარის თქმა: სამკვიდრო ქონების დაუფლება

სამემკვიდრეო სამართალი გაწერილია სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნში (მუხლები 1710-2035). ეს თავი მოიცავს დებულებებს, რომელიც ზოგადად ეხება მემკვიდრეობის გადაცემას (მუხლები 1710-1715) ; ანდერებს (მუხლები 1716-1780) და მათ შინაარსს (მუხლები 1781-1812) ; *“ab intestat”* სამკვიდროს საკითხებს (მუხლები 1813-1824); კანონიერ სავალდებულო წილს (მუხლები 1825-1845) ; სამკვიდროს მიღებას და მასზე უარის თქმას (მუხლები 1846-1859) ; უღირს მემკვიდრეს (მუხლები 1860-1864); ვაკანტურ მემკვიდრეობას (მუხლები 1865-1870) ; სამკვიდრო პეტიციას (მუხლები 1871-1883); მემკვიდრეების ურთიერთობას (მუხლები 1884-1894); ურთიერთობის წესებს (მუხლები 1895-1900); მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის დავალიანებაზე პასუხისმგებლობის არიდება *l’héritier sous bénéfice d’inventaire* (მუხლები 1901-1912); სამკვიდროს სამართლებრივ ლიკვიდაციას (მუხლები 1913-1922); *trust*-ით სუბსტიტუციას (*la substitution fidéicommissaire*) (მუხლები 1923-1941); სამკვიდროს გაყიდვა, დათმობა, გადაცემას (*aliénation*) (მუხლები 1942-1955); სამკვიდრო მოწმობას (მუხლები 1956-1966), ლეგატს (მუხლები 1967-2011); დანაკისრებს (მუხლები 2012-2016) და სამკვიდრო აღსრულებას (მუხლები 2017-1031).

ბერძნული სამართლის თანახმად, სამკვიდრო ქონების უნივერსალური შემადგენლობა, მემკვიდრეობის უფლება და მემკვიდრეების მიერ დაუფლება ხორციელდება პირის გარდაცვალების მომენტში. გარდაცვალების დროს, *„de cuius”* მემკვიდრეობა პირდაპირი წესით გადადის *“ab intestat”* (ანდერძის გარეშე მემკვიდრეობა) მემკვიდრეებზე ან ანდერძით მემკვიდრეებზე (მუხლი 1710, სამოქალაქო კოდექსი).

დასახელებულ მემკვიდრედ შესაძლოა იგულისხმებოდეს მხოლოდ ის პირი, რომელიც ცოცხალია ან იგულისხმება ჩასახულად სამკვიდროს გახსნის მომენტში (მუხლი 1711, სამოქალაქო კოდექსი). ჩასახული ბავშვი, რომელიც არ დაიბადება ცოცხალი, ითვლება არარსებულ ბავშვად. სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლის თანახმად, ფონდი, რომელიც შეიქმნა მისი დამაარსებლის გარდაცვალების შემდეგ, განიხილება როგორც არსებული სიკვდილის მომენტისათვის, მისთვის განკუთვნილ ქონებასთან მიმართებაში .

ბერძნული სამართლის თანახმად, (მუხლი 1846, სამოქალაქო კოდექსი) მემკვიდრეს ენიჭება კანონიერი უფლება სამკვიდროზე მემკვიდრეობის გადასვლის მომენტში. რაც შეეხება უძრავ ქონებას და ზოგადად რეალურ უფლებებს, მათი დაკანონება ექვემდებარება ქონების მიღებაზე სანოტარო აქტის და სამკვიდრო მოწმობის

დარეგისტრირებას საბერძნეთის უძრავი ქონების შესაბამის რეესტრში. რეგისტრაციის დროს „*de cuius*” გარდაცვალება (დამოწმებული) სერტიფიცირებული უნდა იყოს (მუხლი 1193, სამოქალაქო კოდექსი).

მემკვიდრედ აღიარებისათვის მოითხოვება მხოლოდ იურიდიული უფლება. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ფიზიკურ (თუნდაც ჯერ არ შობილს მაგრამ ჩასახულის), ან იურიდიულ პირს შეუძლია გახდეს მემკვიდრე. გარდა ამისა, გარდაცვალების მომენტისათვის ჯერ ჩაუსახავ პირზე და უნივერსალური *trust*-ის სახით ჯერ ჩამოუყალიბებელ იურიდიულ პირზე გადადის მემკვიდრეობა ფიზიკური პირის გაჩენის მომენტში, ისევე როგორც იურიდიული პირის დაარსების მომენტში.

უღირსი მემკვიდრის საკითხი გაწერილია სამოქალაქო კოდექსის 5 წიგნის VII თავში (მუხლი 1860 და შემდეგი). ეს დებულებანი ვრცელდება ყველა მემკვიდრეზე და ლეგატარზე (*légataire*). უღირსი მემკვიდრედ პირი ცხადდება სასამართლოს გადაწყვეტილების საშუალებით, პირის მიერ სარჩელის სასამართლოში წარდგენის საფუძველზე, რომელიც დაადასტურებს კანონიერ ინტერესს სამკვიდროს გადაცემიდან ორი წლის ვადაში.

უღირს მემკვიდრედ ითვლება :

- პირი, რომელმაც განზრახ მოკლა ან ჰქონდა მცდელობა მოეკლა გარდაცვლილი ან მისი შვილები, დედა, მამა ან მეუღლე.
- პირი, რომელმაც უსამართლოდ დააბრალა გარდაცვლილს დანაშაული და მისჯილი ჰქონდა ამისათვის სასჯელი.
- პირი, რომელმაც უკანონოდ განზრახ ხელი შეუშალა გარდაცვლილს დაეწერა ან გამოეთხოვა საკუთარი ანდერძი.
- პირი, რომელმაც უკანონოდ და ამორალურად, მოტყუებით უბიძგა ან მუქარით აიძულა გარდაცვლილი დაეწერა ან შეეცვალა ანდერძი.
- და ის პირი, რომელმაც შეცვალა ან მოშალა გარდაცვლილის მიერ დაწერილი ანდერძი (მუხლი 1860, სამოქალაქო კოდექსი).

ვიდრე უღირსი საქციელი არ წარმოადგენს დანაშაულს, ის უქმდება, თუკი გარდაცვლილი პატიობს უღირს პირს ავთენტური აქტის ან ანდერძის მეშვეობით (მუხლი 1861, სამოქალაქო კოდექსი).

გამომდინარე იქიდან, რომ მემკვიდრეობა ავტომატურად გადადის გარდაცვალების მომენტში, არ არსებობს გარდამავალი პერიოდი გარდაცვალებასა და გადასვლას შორის. შესაბამისად, არ არსებობს სამკვიდრო მმართველის დანიშვნის აუცილებლობა. თუმცა, კანონმდებელი ითვალისწინებს მემკვიდრეობის სასამართლოს მიერ დანიშნულ სამკვიდრო კურატორს, ნებისმიერი (პირის) მოთხოვნის შემთხვევაში, რომელსაც გააჩნია ლეგიტიმური ინტერესი. კურატორი ინიშნება, როდესაც მემკვიდრეები უცნობია, ან გაურკვეველია, მიიღეს თუ არა მათ მემკვიდრეობა. კურატორი წარმოადგენს მემკვიდრეს და მართავს სამკვიდროს;

მის ფუნქციებში შედის ლუქის დადება, საინვენტარო ნუსხის შედგენა და ყველა საკონსერვაციო ზომის მიღება, ისევე როგორც კრედიტების დაბრუნება (მიღება) და თანხის შეტანა სანდო ბანკში, საპროცენტო ანგარიშზე. სამემკვიდრეო სასამართლოს ნებართვის გარეშე, მას არ შეუძლია გასცეს სამკვიდრო ნივთები, გააფორმოს კრედიტები ან გარიგებები და სამკვიდრო მოძრავი თუ უძრავი ქონების ქირავნობა, ორი წლის ვადის ზემოთ (მუხლები 1865-1866, სამოქალაქო კოდექსი).

სამოქალაქო კოდექსის 1865 მუხლის თანახმად, („*succession vacante*“ „ვაკანტური სამკვიდრო“), თუკი მემკვიდრე უცნობია ან დაუდგენელია მიიღებს თუ არა ის მემკვიდრეობას, მემკვიდრეობის სასამართლო, ნებისმიერი კანონიერი ან სახაზინო ინტერესის მქონე პირის მოთხოვნის საფუძველზე ნიშნავს სამკვიდრო კურატორს. გადაუდებელ შემთხვევაში პროკურორი ნიშნავს დროებით კურატორს. ამ უკანასკნელმა უმოკლეს ვადაში უნდა დაანიშნინოს სასამართლოს საბოლოო კურატორი.

რამოდენიმე მემკვიდრის შემთხვევაში, სამკვიდრო საერთოა ყოველი მემკვიდრის სამკვიდრო წილის პროპორციულად. კანონის განსხვავებული დებულების არარსებობის შემთხვევაში, თანამემკვიდრეთა ურთიერთობებზე (*communauté entre cohéritiers*) ვრცელდება ზოგადი მემკვიდრეობითი დებულებები (*communauté par indivision*) (მუხლი 1847, სამოქალაქო კოდექსი).

ყველა თანამემკვიდრეს შეუძლია განკარგოს სამკვიდროს საკუთარი წილი ან მისი ცალკეული ნივთები. ყველა თანამემკვიდრეს აქვს უფლება ნებისმიერ დროს მოითხოვოს სამკვიდროს განაწილება (გაყოფა) (მუხლი 1887, სამოქალაქო კოდექსი).

მემკვიდრეს შეუძლია უარის თქმა მემკვიდრეობაზე ოთხი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შეიტყო მისი გადმოსვლა და გამომწვევი მიზეზი. ანდერძით (მემკვიდრეობის) გადმოსვლისას, ვადის ათვლა იწყება მხოლოდ ანდერძის გახსნის მომენტიდან. თუ გარდაცვლილს უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი უცხოეთში ჰქონდა, ან თუ მემკვიდრემ შეიტყო სამკვიდროს გადმოსვლა უცხოეთში ყოფნისას, ვადა წარმოადგენს ერთ წელიწადს.

ეს ვადა ჩერდება იგივე მოტივებით რითაც ხანდაზმულობა (მუხლი 1847, სამოქალაქო კოდექსი). უარის თქმა ხორციელდება მომრიგებელი სასამართლოს სამდივნოში განცხადების მეშვეობით (მუხლი 1848, სამოქალაქო კოდექსი).

სამკვიდროს მისაღებ სანოტარო აქტის მოსამზადებლად, ნოტარიუსი მოითხოვს მამკვიდრებლის ან გარდაცვლილის სიკვდილის დამადასტურებელ საბუთს, და *“ab intestat”* ან ანდერძით მემკვიდრეების ხარისხს. მემკვიდრეებს ევალებათ წარმოადგინონ:

- სამოქალაქო მუნიციპალური რეესტრიდან გამოთხოვილი გარდაცვალების აქტი და ახლო მემკვიდრეების ამონაწერი.
- და თუ გარდაცვალება მოხდა 1-3-2013-მდე, გარდაცვლილის უკანასკნელი საცხოვრებლის ტერიტორიულ მომრიგებელი სასამართლოსა და პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოთხოვილი სერტიფიკატი, რომელიც

ადასტურებს, რომ გარდაცვლილის ანდერძი გახსნილია ან რომ არ არსებობს ამ პირის არცერთი გახსნილი ანდერძი. თუ გარდაცვალება 1-3-2013 შემდეგ მოხდა, საკმარისია მხოლოდ მომრიგებელი სასამართლოს სერტიფიკატი (ცნობა). თუ მეანდერძეს არ გააჩნდა საკუთარი საცხოვრებელი საბერძნეთში, კომპეტენცია გადადის ათენის სასამართლოზე.

ანდერძით მემკვიდრის ხარისხი მტკიცდება ნოტარიუსის წინაშე ანდერძის ლეგალიზებული ასლის და პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ გაცემული ზემოხსენებული სერტიფიკატების წარდგენით.

გარდა ამისა, სამკვიდროს გადასვლა შესაძლოა დამტკიცდეს სამკვიდრო მოწმობით (certificate d'hérédité) (მუხლი 1956 და მომდევნო, სამოქალაქო კოდექსი); სამოქალაქო კოდექსის 1962 მუხლი მოიცავს პრეზუმფციას, რომ სამკვიდრო მოწმობაში მითითებული უფლება არის ამ მოწმობაში მემკვიდრედ დასახელებული პირის უფლება.

“*ab intestat*” მემკვიდრის ხარისხი მტკიცდება არსებული ნათესავური კავშირებით გარდაცვლილსა და მემკვიდრეს შორის, დასაბუთებული ახლო მემკვიდრეების ამონაწერით.

ბერძნულ სამართალში, საცოცხლის დაზღვევო კონტრაქტის სარგებელი/პრემია (prestations) წარმოადგენს სამკვიდროს ნაწილს.

2. ანდერძები

საანდერძო დებულებანი გაწერილია სამოქალაქო კოდექსის 1716-1812 მუხლებში.

სამოქალაქო კოდექსის 1712 მუხლის თანახმად, ანდერძის მიმართ მოქმედებს „*mortis causa*“-ს პრეზუმფცია (ძალაშია სიკვდილის შემთხვევაში). თავისუფლად გაუქმებადი (შეცვლადი), ცალმხრივი უკანასკნელი ნების დებულება. უკანასკნელი ნების დებულებანი თავისუფლად გაუქმებადია (შეცვლადი). კერძოდ, ნებისმიერი ანდერძი შესაძლოა გაუქმებულ (შეცვლილ) იქნას (მუხლი 1763, სამოქალაქო კოდექსი).

ანდერძის მეშვეობით შესაძლებელი ხდება პირის გარდაცვალების შემდეგ მოხდეს მისი მემკვიდრეობის და ზოგიერთი საოჯახო სამართლის საკითხის რეგულირება, მაგალითად, მშობლების ქორწინების გარეშე შობილი ბავშვების შვილებად ცნობა (მუხლი 1476, სამოქალაქო კოდექსი).

დებულებანი მეანდერძის ქმედუნარიანობის (capacité) შესახებ სპეციალურ ხასიათს ატარებს (მუხლი 1719 და შემდგომი, სამოქალაქო კოდექსი) და ვრცელდება მიუხედავად წინააღმდეგობისა სამოქალაქო კოდექსის ზოგად დებულებებთან, ქმედუნარიანობის შესახებ.

ამ დებულებების თანახმად, ანდერძის შედგენა არ შეუძლიათ არასრულწლოვნებს, ანუ მათ ვისაც არ შეუსრულდა თვრამეტი წელი, და მათ ვისაც ეს აკრძალული აქვთ (interdits), ანუ მეურვეობის და მზრუნველობის (curatelle) ქვეშ მყოფ პირებს, რომელთაც პირდაპირი წესით ჩამორთმეული აქვთ ანდერძის შედგენის უფლება, მათ ვისაც ანდერძის შედგენის მომენტში არ აქვთ გონივრულად განსჯის უნარი ან დაკარგული აქვთ გონივრულად განსჯის უნარი ფსიქიური დაავადების შედეგად. სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი აკრძალვის მქონე და მხარდაჭერის მიმღები (უძღვები) პირების ქმედუნარიანობა ძალაში შედის იმ სარჩელის შეტანისთანავე, რომლის შედეგადაც განხორციელდა აკრძალვა ან იურიდიული დახმარების დანიშვნა (მუხლი 1719, სამოქალაქო კოდექსი).

თუ აკრძალვის მქონე პირმა შეადგინა ანდერძი საბოლოო ამკრძალავ გადაწყვეტილებამდე, აკრძალვა არ მოქმედებს ანდერძის ნამდვილობაზე (validité) იმ შემთხვევაში, თუ აკრძალვის მქონე პირი გარდაიცვლება ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილება იქნება გამოტანილი. ასევე, თუ აკრძალვის მქონე პირმა შეადგინა ანდერძი იმ სარჩელის შეტანამდე, რომლის მიზანია აკრძალვის მოხსნა, და თუკი აკრძალვის მოხსნა გამოცხადდა სარჩელის შესაბამისად. ეს დებულებანი ვრცელდება ასევე მხარდაჭერის მიმღები პირის შემთხვევაზე (მუხლი 1720, სამოქალაქო კოდექსი).

ავთენტურ ანდერძში მეანდერძის ქმედუნარიანობა უნდა არსებობდეს სანოტარო აქტზე ხელისმოწერამდე. ანდერძი პერსონალური აქტია, შესაბამისად, ნებაყოფლობითი თუ კანონიერი წარმომადგენლობა დაუშვებელია.

(ანდერძის შედგენის) ქმედუნარო (personne incapable de tester) პირის მიერ შედგენილი ანდერძი ბათილია და შემდგომში ვერ ჩაითვლება ნამდვილად.

არსებობს ანდერძის ჩვეულებრივი (ordinaire, commun) და სპეციალური (extraordinaire) ფორმები.

ჩვეულებრივი ანდერძებია (commun), ხელნაწერი ანდერძი, ავთენტური ანდერძი და საიდუმლო (mystique) ანდერძი:

- *ხელნაწერი ანდერძები* (testament olographe) მთლიანად შესრულებულია მეანდერძის ხელით და მოიცავს ამ უკანასკნელის ხელმოწერას და თარიღს (მუხლი 1721, სამოქალაქო კოდექსი). სხვა ფორმატს აღარ საჭიროებს, მაგრამ შესაძლებელია შენახული იქნას ნოტარიუსთან (მუხლი 1722, სამოქალაქო კოდექსი).
- ავთენტური ანდერძი (testament authentique) სრულდება ნოტარიუსთან მეანდერძის უკანასკნელი ნების განცხადებით, სამი მოწმის თანდასწრებით, ან

მეორე ნოტარიუსის და ერთი მოწმის თანდასწრებით (მუხლი 1724, სამოქალაქო კოდექსი). ავთენტური ანდერძის შედგენის უფლება არ აქვთ ნოტარიუსებს და მოწმეებად ვერ გამოდგებიან მეანდერძის არსებული თუ ყოფილი მეუღლე, სისხლით ნათესავები ან მეანდერძის ნათესავები პირდაპირი თუ ირიბი ხაზით, მესამე რიგის ჩათვლით, ისევე როგორც ანდერძში დასაჩუქრებული პირები (მუხლი 1725, სამოქალაქო კოდექსი), ასევე ვერ იქნებიან (ნოტარიუსი და მოწმე) სამკვიდრო აღმსრულებლად დანიშნული პირები, ან რომლებსაც ზემოაღნიშნულიდან რომელიმე სახის კავშირი აქვთ ანდერძში დასაჩუქრებულ პირებთან ან აღმსრულებლებად დანიშნულ პირებთან (მუხლი 1726, სამოქალაქო კოდექსი). მოწმეებს ფიცი აქვთ დადებული (assermentés) და ნოტარიუსი მათ უნდა იცნობდეს ან მოახდინოს მათი იდენტიფიცირება პროცედურის დაწყებამდე. ისინი მოვალენი არიან საიდუმლოდ შეინახონ ანდერძის დებულებანი მის გახსნამდე, საიდუმლოების ნებისმიერი დარღვევა, ექვემდებარება სისხლის სამართლის დევნას. ავთენტური ანდერძის შედგენა (rédaction) ნოტარიუსის და საკონსულოს ოფიცრების (ბერძენი ეროვნების პირთათვის უცხოეთში) კომპეტენციაა. ავთენტური ანდერძი უნდა იყოს შედგენილი ბერძნულ ენაზე. თუ მეანდერძე არ საუბრობს ბერძნულად, სავალდებულოა თარჯიმნის დახმარება (მუხლი 1737, სამოქალაქო კოდექსი).

- *საიდუმლო ანდერძი* (testament mystique) - ანდერძი, რომელიც მეანდერძის ხელმოწერილი წერილობითი ფორმით გადაეცემა (მეანდერძის მიერ) ნოტარიუსს ხელში სამი მოწმის თანდასწრებით, ან მეორე ნოტარიუსის და ერთი მოწმის თანდასწრებით, რასაც თან ახლავს სიტყვიერი განცხადება, რომ გადაცემული ტექსტი მოიცავს მეანდერძის უკანასკნელ ნებას (მუხლი 1738, სამოქალაქო კოდექსი). გადაცემულ ფურცელს ან კონვერტს, რომელიც მას მოიცავს, ნოტარიუსი არტყამს ბეჭედს, აწერს მეანდერძის გვარს და სახელს და გადმოცემის თარიღს. საბუთს ხელს აწერენ ნოტარიუსი და პირები, რომლებიც მონაწილეობენ აქტში (მუხლები 1741-1742, სამოქალაქო კოდექსი).

სპეციალური ანდერძი (testament extraordinaire) არის გემზე შესრულებული ანდერძი (მუხლები 1749-1752, სამოქალაქო კოდექსი), ექსპედიციის დროს შესრულებული ანდერძი, ალყის დროს შესრულებული ანდერძი, ტყვეობაში შესრულებული ანდერძი (მუხლები 1753-1755, სამოქალაქო კოდექსი) და იზოლირებულ ადგილას შესრულებული ანდერძი, (მუხლი 1757, სამოქალაქო კოდექსი). სპეციალური ანდერძები, რომელიც განსაკუთრებულ პირობებშია შესრულებული, ვალიდურია მხოლოდ სამი თვის განმავლობაში, განსაკუთრებული პირობების დადგომიდან, რომელიც მათი რედაქტირების საშუალებას იძლევა.

ბერძნული სამართალი არ ითვალისწინებს *ერთობლივი ანდერძის* შემთხვევას (testament conjoint) ; ერთი აქტი ვერ მოიცავს რამოდენიმე პირის მიერ შედგენილ ანდერძს (მუხლი 1717, სამოქალაქო კოდექსი).

3. სამკვიდრო რეესტრი

სამკვიდროს გახსნამდე, ავტენტური ანდერძის ორიგინალი ინახება ნოტარიუსთან; სამკვიდროს გახსნის შემდეგ ის რჩება ნოტარიუსთან. საიდუმლო და ხელნაწერი ანდერძების ორიგინალები ინახება იმ სასამართლოში სადაც ისინი გაიხსნა.

სამ თვეში ერთხელ ნოტარიუსი გადასცემს ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს სამდივნოს ამ პერიოდში შედგენილი ყველა ანდერძის სიას.

გარდა ამისა, მეანდერძის სიკვდილის შეტყობის შემდეგ, ნოტარიუსი უგზავნის ავტენტური ანდერძის სერტიფიცირებულ ასლს მორიგების ტერიტორიულ სასამართლოს (Tribunal de la paix). ხელნაწერი ანდერძის შემთხვევაში, ნოტარიუსი აწვდის მომრიგებელ მოსამართლეს (juge de la paix) აქტის ორიგინალს. საიდუმლო ანდერძის შემთხვევაში, ნოტარიუსი აწვდის მომრიგებელ მოსამართლეს ბეჭდიან კონვერტს და შენახვის ავტენტურ აქტს. ეს უკანასკნელი ხსნის ანდერძს და ადგენს ოქმს, რომელიც სრულად ასახავს ანდერძს და ადასტურებს ფორმის სისრულეს.

ნოტარიუსსა და ათენის სასამართლოს და მის ოფისს შორის საკომუნიკაციო საშუალებად ჯერჯერობით არ განიხილება ელექტრონული და ტელე სისტემები.

ნოტარიუსის მიერ საკომუნიკაციო ვალდებულებების დარღვევა დისციპლინურ დარღვევას წარმოადგენს და სანქცირებადია. თუ ანდერძი არ ინახება ნოტარიუსთან, არ არსებობს შენახვის ვადები და არც სანქციები დარღვევის შემთხვევაში. თუკი ის ინახება ნოტარიუსთან, სხვა საჯარო აქტებთან შედარებით, მოქმედებს პროფესიული საიდუმლოების განსაკუთრებული დაცვა.

ნოტარიატის შესახებ კოდექსის თანახმად (კანონი 2830/200, მუხლი 13) ანდერძის არანაირი გზავნილი არ ხორციელდება მის გასაჯაროებამდე.

4. სავალდებულო სამკვიდრო წილი

სავალდებულო წილთან დაკავშირებული დებულებანი გაწერილია სამოქალაქო კოდექსის 1825-1838 მუხლებში.

საკუთარი ქონების თავისუფალი განკარგვა საკუთარი ნების თანახმად წარმოადგენს პიროვნების განვითარების თავისუფლების ნაწილს, რომელიც დაცულია კონსტიტუციით. ეს გაწერილია სამოქალაქო კოდექსში, რომელიც აწესებს ასევე რამოდენიმე შეზღუდვას, რათა დაცული იქნას უახლოესი ნათესავების უფლებები, რომლებიც გარდაცვლილის ოჯახს წარმოადგენენ. ეს შეზღუდვები შემოყვანილია კანონიერი წილის ცნების სახით, რომელიც წარმოადგენს უახლოვესი ნათესავებისადმი განკუთვნილი ქონების ნაწილს, გარდაცვლილის ნების მიუხედავად.

თუკი *“de cuius”* (მამკვიდრებლის) შთამომავალი, მეუღლე, ცოცხლად დარჩენილი პარტნიორი (სამოქალაქო სოლიდარული პაქტის შემთხვევაში *Pacs*) და მშობლები არ ფიგურირებენ სამკვიდროს გადასვლაში, გარდაცვალებასთან დაკავშირებული აქტების მიხედვით (*“mortis causa”*), მათ აქვთ უფლება სავალდებულო წილზე (მუხლი 1825, სამოქალაქო კოდექსი).

სამოქალაქო კოდექსის 1825 მუხლის სათაური „სავალდებულო წილი“ გულისხმობს იმას, რომ გარდაცვლილის შთამომავლებს, მის დედ-მამას, ისევე როგორც ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს, რომლებიც *“ab intestat”* სამკვიდროს მემკვიდრეებად იქნებოდნენ დასახელებული, აქვთ უფლება სამკვიდროს კანონიერ სავალდებულო წილზე. იგივე უფლება გააჩნია როგორც ცოცხლად დარჩენილ პარტნიორს, სამოქალაქო სოლიდარული პაქტის შემთხვევაში (*Pacs*) (მუხლი 11, პ. 2, კანონი 3719/2008). კანონიერი წილი წარმოადგენს *“ab intestat”* სამკვიდრო ნაწილის ნახევარს. თუკი სავალდებულო წილით მემკვიდრე მიიღებს სავალდებულო წილზე ნაკლებს, მას აქვს უფლება განსხვავებაზე (მუხლი 1827, სამოქალაქო კოდექსი).

სამკვიდროს გადასვლის მომენტში სავალდებულო წილით მემკვიდრე ცოცხალი ან თუნდაც ჩასახული უნდა იყოს.

სავალდებულო წილით მემკვიდრის მინიმალური უფლება მაშინვე აღიქმება როგორც, გარდაცვლილის მატერიალურ ქონებაში მონაწილეობა. კანონიერი სავალდებულო წილის დასაანგარიშებლად, ათვლის წერტილად იღებენ სამკვიდროს მდგომარეობას და ღირებულებას *“de cuius”* გარდაცვალების მომენტში, მას შემდეგ რაც გამოიქვითა ვალები და დაკრძალვისა და საინვენტარიზაციო ხარჯები (მუხლი 1831, სამოქალაქო კოდექსი).

მეანდერძეს შეუძლია ჩამოართვას სამკვიდრო უფლება შთამომავალს, თუკი მან :

- საფრთხე შეუქმნა მეანდერძის, მისი მეუღლის ან მეანდერძის სხვა შთამომავლის სიცოცხლეს.
- შეგნებულად დამნაშავეა უდიერ ფიზიკურ მოპყრობაში მეანდერძის ან მისი მეუღლის (მისი მშობლის) მიმართ.
- შეგნებულად დამნაშავეა სასხლის სამართლის დანაშაულსა ან სერიოზულ დარღვევაში მეანდერძის თუ მისი მეუღლის წინააღმდეგ.
- განზრახ არ შეასრულა მისი კანონიერი საალიმენტო ვალდებულება მეანდერძის წინაშე.
- ან ეწევა არეულ და ამორალურ ცხოვრებას მეანდერძის ნების მიუხედავად. უკანასკნელი მოტივით სამკვიდრო უფლების ჩამორთმევა ბათილია, თუკი შთამომავალი მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტისათვის საბოლოოდ აღარ ეწევა არეულ და ამორალურ ცხოვრებას (მუხლი 1840, სამოქალაქო კოდექსი).

მეანდერძეს შეუძლია ჩამოართვას სამკვიდრო უფლება საკუთარ დედ-მამას იგივე მოტივებით, გარდა უკანასკნელისა. შესაძლებელია ასევე სამკვიდრო უფლება ჩამოერთვას

მეუღლეს, თუკი ეს უკანასკნელი ბრალეულია რაიმე დანაშაულში, რის გამოც მეანდერძეს მის გარდაცვალების პერიოდში შეეძლო წამოეწყო განქორწინების პროცესი.

საკუთარი უფლებები (მაგალითად ანდერძით დასახელებული მემკვიდრეების წინაშე და ა.შ.) და ვადები დაცული უნდა იქნას. მემკვიდრეს უფლება აქვს მოითხოვოს პირს, რომელიც სამკვიდრო უფლებით განკარგავს (რომლის ხელთ არის) სამკვიდროს კუთვნილ ნივთებს (სამკვიდროს მფლობელი), რომ მან აღიაროს მისი სამკვიდრო უფლება და დააბრუნოს სამკვიდრო ან მისი რომელიმე ნივთი (*petition d'hérédité*, სამკვიდრო პეტიცია, მუხლი 1871, სამოქალაქო კოდექსი).

ამ პრეტენზიის ხანდაზმულობის ვადა 20 წელიწადია (მუხლი 249, სამოქალაქო კოდექსი).

ასევე, სამოქალაქო კოდექსის 1826, 1827 და 1829 მუხლების თანახმად, თუკი სავალდებულო წილით მემკვიდრეს კანონიერად ჩამოერთვა სამკვიდრო უფლება, მთლიანად თუ ნაწილობრივ, ან თუ მან უარი განაცხადა კანონიერ სავალდებულო წილზე, ან მას ჩამოერთვა ეს უფლება უღირსი საქციელის გამო, კანონიერი სავალდებულო წილის უფლება გადადის კანონიერი სავალდებულო წილით მემკვიდრეებზე, *“ab intestat”* მემკვიდრეობითი რიგითობის მიხედვით. თუკი სავალდებულო წილით მემკვიდრეს გადაეცა კანონიერ სავალდებულო წილზე ნაკლები ნაწილი, მას უფლება აქვს ამ დაკლებულ ნაწილზე. ანდერძიდან გამომდინარე ნებისმიერი შეზღუდვა, სავალდებულო წილით მემკვიდრის საზიანოდ არ არის მოქმედი, რამეთუ აზარალებს სავალდებულო წილს.

სავალდებულო წილით მემკვიდრეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს. სავალდებულო წილს კარგად იცავს კანონმდებელი, რომელიც თვლის, რომ გარდაცვლილის სიცოცხლეში განხორციელებული ჩუქება, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას სამკვიდროს გადაანგარიშებაში, გაუქმებულ უნდა იქნას, ვინაიდან *„de cuius”* გარდაცვალების პერიოდში არსებული სამკვიდრო არ არის საკმარისი სავალდებულო წილის დასაფარად. თანმიმდევრული ჩუქების შემთხვევაში, მიმართავენ წინა ჩუქებას, როდესაც შემდგომი ჩუქების გაუქმება არ არის საკმარისი (მუხლი 1835, სამოქალაქო კოდექსი).

ბერძნულ სამართალში სავალდებულო წილი წარმოადგენს სამკვიდროში რეალურ (პირდაპირ) მონაწილეობას. მემკვიდრე, რომელსაც გააჩნია უფლება სავალდებულო წილზე არის თანამემკვიდრე კანონის ძალით. სავალდებულო წილის ნებისმიერი შეზღუდვა გამომდინარე გარდაცვალებასთან დაკავშირებული აქტიდან (*“mortis causa” დებულებიდან*), (*disposition de cause de mort*) ბათილია (მუხლი 1829, სამოქალაქო კოდექსი).

შესაძლებელია სავალდებულო წილი ანაზღაურდეს სიცოცხლის პერიოდში ჩუქებიდან (მუხლი 1833, სამოქალაქო კოდექსი).

ბერძენი *„de cuius”*, რომელიც მინიმუმ 25 წელი უწყვეტლივ უცხოეთში ცხოვრობდა, არ ექვემდებარება ბერძნული დებულებების შეზღუდვებს სავალდებულო წილით მემკვიდრეების შესახებ. 1738/1978 კანონის 21 მუხლის თანახმად, საბერძნეთის მოქალაქეები, რომლებიც მინიმუმ 25 წელი უწყვეტლივ უცხოეთში ცხოვრობდნენ სიკვდილამდე, არ ექვემდებარებიან ბერძნული კანონის დებულებებს სავალდებულო წილის და სავალდებულო

წილით მემკვიდრეების შესახებ, რაც შეეხება (*“mortis causa” დებულებას*) მათ უკანასკნელი ნების გამომხატველ აქტებს *“mortis causa” დებულებას* (disposition de cause de mort) უცხოეთში მდებარე ქონების თაობაზე. თუ ეს უკანასკნელი პირობა სახეზეა, შეუსაბამობა სავალდებულო წილისა და სავალდებულო წილით მემკვიდრეების შესახებ დებულებებთან არ მოქმედებს ანდერძების და (*“mortis causa” დებულების*) გარდაცვალებასთან დაკავშირებულ სხვა აქტების ნამდვილობაზე, უცხოეთში მდებარე ქონების ჭრილში.

ზოგადად, სამკვიდროზე ნაადრევი უარის თქმა და სავალდებულო წილზე ნაადრევი უარის თქმა მიუღებელია. მხილედ სხვადასხვა ეროვნების წყვილის (ან პარტნიორების) შემთხვევაში უცხოელ მეუღლეს (თუ ის უცხოეთში ცხოვრობს კონტრაქტის შედგენისას) შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ, უსასყიდლოდ ან გადახდის მეშვეობით უარი თქვას მემკვიდრეობაზე, რომელიც მას ეკუთვნის ბერძნული კანონმდებლობის თანახმად (მუხლი 1, ბრძანებულება 472/1974 – „ონასისი კანონი“ *“Loi Onassis”*).

5. ლეგატი და სამკვიდრო ხარჯები

ბერძნული სამართალი განასხვავებს მემკვიდრის დასახელებას (ანდერძით) და ლეგატს (მუხლი 1967 და შემდეგი, სამოქალაქო კოდექსი).

შესაძლებელია ლეგატის სახით მიღებულ იქნას ინდივიდუალური ნივთები პირისაგან, მისი უკანასკნელი ნების გამოხატვის მეშვეობით (მუხლი 1714, სამოქალაქო კოდექსი).

ლეგატარი იძენს ლეგატის სახით ინდივიდუალურ უფლებას მოითხოვოს დაკისრებული პირისაგან ლეგირებული ნივთის სერვისის საფასური (მუხლი 1995, სამოქალაქო კოდექსი). ლეგატარის უფლება ძალაში შედის მეანდერძის გარდაცვალებისთანავე (ლეგატის გადასვლა). ლეგატარს შეუძლია უარი თქვას ლეგატზე (მუხლი 1997, სამოქალაქო კოდექსი).

გარდაცვლილს შეუძლია ანდერძით დაუწესოს გადასახადი (დანაკისრი) (charge) მემკვიდრეს ან ლეგატარს, ისე რომ არ მიანიჭოს მესამე პირს უფლება ამ გადასახადზე (დანაკისრზე) (მუხლი 1715, სამოქალაქო კოდექსი). თუ გადასახადი (დანაკისრი) ნულოვანია, დებულება დაკისრებული პირის სასარგებლოდ არ არის ნულოვანი, თუკი ეს მეანდერძის ნება იყო.

6. სუბსტიტუტები

ბერძნულ სამართალში სუბსტიტუტი (ჩანაცვლება) გაწერილია სამოქალაქო კოდექსის 1809, 1810, 1811, 1812, 2008 და 2009 მუხლებში.

ბერძნული სამართალი იძლევა საშუალებას წარდგენილ იქნას დაკისრებული (ანდერძით) მემკვიდრე და ამავდროულად დადგინდეს რომ სხვა პიროვნება გახდება დასახელებული მემკვიდრე, გარკვეულ შემთხვევაში (მაგალითად, დაკისრებული მემკვიდრის სიკვდილი) (მუხლი 1923, სამოქალაქო კოდექსი). დასახელებულ მემკვიდრედ შესაძლოა გახდეს მხოლოდ ის პირი, რომელიც ცოცხალია ან სავარაუდოდ დაბადებულია სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის. დაშვებულია მხოლოდ ერთი დასახელებული მემკვიდრი არსებობა (მუხლი 1923, სამოქალაქო კოდექსი). დაკისრებულ მემკვიდრეს არ აქვს უფლება თავისუფლად

განკარგოს სამკვიდრო ქონება; მას შეუძლია მისი განკარგვა მხოლოდ სამკვიდროს რეგულარული ადმინისტრირების თვალსაზრისით ან თუკი ამაზე არსებობს დასახელებული მემკვიდრის თანხმობა (მუხლი 1937, სამოქალაქო კოდექსი).

დასახელებული მემკვიდრის წარდგენა არ უნდა აგვერიოს სუბსტიტუტი მემკვიდრის წარდგენაში. ეს უკანასკნელი მიიღებს მემკვიდრეობას იმ შემთხვევაში, თუ დადგენილი მემკვიდრე გარდაიცვლება სამკვიდროს გახსნამდე ან არ არის წარმოდგენილი სხვა მიზეზის გამო (მუხლი 1809 და შემდეგი, სამოქალაქო კოდექსი).

მეანდერძეს შეუძლია დანიშნოს სუბსტიტუტი მემკვიდრე ისეთ შემთხვევაში, როდესაც წარდგენილ მემკვიდრეს ჩამოერთმევა სამკვიდრო უფლება, სამკვიდროს გახსნამდე ან მის გახსნის შემდეგ (მუხლი 1809, სამოქალაქო კოდექსი).

ეჭვის შემთხვევაში, ცნობილია რომ სუბსტიტუტი მემკვიდრე ინიშნება იმ შემთხვევებში, როდესაც პირველ რიგში დასახელებული მემკვიდრე ვერ იქნება ან (თუ მას) არ სურს იყოს მემკვიდრე (მუხლი 1810, სამოქალაქო კოდექსი).

თუკი წარდგენილი მემკვიდრეები დასახელებულები არიან როგორც ერთმანეთის სუბსტიტუტი მემკვიდრეები, ან ერთი მათგანის მიმართ სხვები დასახელდნენ როგორც სუბსტიტუტი მემკვიდრეები, ეჭვის შემთხვევაში ისინი განიხილებიან, როგორც სუბსტიტუტები საკუთარი წილების პროპორციულად. თუ მემკვიდრეები (ანდერძით) არიან ერთმანეთის სუბსტიტუტები, მაშინ როდესაც ზოგიერთი მათგანი ჩაწერილი იყო საერთო სამკვიდრო წილში, ეჭვის შემთხვევაში, ამგვარად ჩაწერილ მემკვიდრეებს პრივილეგია გააჩნიათ სხვებთან შედარებით როგორც სუბსტიტუტ მემკვიდრეებს საერთო სამკვიდრო წილის კონტექსტში (მუხლი 1811, სამოქალაქო კოდექსი).

სუბსტიტუტის უფლება პრიორიტეტულია ნამატთან დაკავშირებულ უფლებაზე, (მუხლი 1812, სამოქალაქო კოდექსი). თუკი მეანდერძემ მიანიჭა ლეგატის ნივთი სხვა პირს, როდესაც პირველი დასაჩუქრებული მას არ იტოვებს, ამ შემთხვევაზე ანალოგიურად ვრცელდება 1810–1812 მუხლების დებულებები სამკვიდრო სუბსტიტუტის შესახებ (მუხლი 2008, სამოქალაქო კოდექსი).

სამოქალაქო კოდექსის 2009 მუხლის თანახმად თავში „დაკისრებული სუბსტიტუტი“ (“substitution fidéicommissaire”), მეანდერძის ნება, რომლის მიხედვით გარკვეული მომენტიდან ან ლეგატის შეძენის შემდგომი მოვლენის შემდეგ, ლეგირებული ნივთი გადადის სხვა პირზე და ნამდვილია მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესის სასარგებლოდ, ან მეანდერძის (არსებულ) სისხლით ნათესავების სასარგებლოდ პირდაპირი ან ირიბი ხაზით, მესამე რიგის ჩათვლით, პირველი დაკისრებული ლეგატარის გარდაცვალების მომენტისათვის.

სხვა სუბსტიტუტის გარდა ზემოთხსენებული პირების გარდა სასარგებლოდ არანამდვილია.

7. ანდერძების აღსრულება ; “trust”

ანდერძების აღსრულების რეჟიმი გაწერილია სამოქალაქო კოდექსის მუხლებში 2017–2031.

ბერძნული სამართალი სცნობს სამკვიდრო აღმსრულებლის დანიშვნას (ანდერძით). მეანდერძეს შეუძლია ანდერძში დაასახელოს აღმასრულებლად ერთი ან რამოდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირი. მას ასევე შეუძლია დართოს ნება აღმასრულებელს გაერთიანდეს თანააღმსრულებლებთან ან დანიშნოს საკუთარი შემცვლელი (მუხლი 2017, სამოქალაქო კოდექსი).

სამკვიდროს აღსრულება მითითებულია სამკვიდრო მოწმობაში (*certificat d'hérédité*) (მუხლი 819, სამოქალაქო კოდექსი).

აღმსრულებლის ზოგიერთი აქტი, მაგალითად უძრავი და მოძრავი ქონების გადაცემა მოითხოვს მემკვიდრეობის სასამართლოს ნებართვას, თუკი ამაზე არ არსებობს გარდაცვლილის წინასწარი შეთანხმება (მუხლი 2021, სამოქალაქო კოდექსი). „*de cuius*” შეუძლია გაანთავისუფლოს აღმსრულებელი ამ შეზღუდვებისაგან ანდერძის მეშვეობით (მუხლი 2022, სამოქალაქო კოდექსი).

აღმსრულებელი პასუხობს მემკვიდრეს საკუთარი მანდატის ფარგლების (დებულებების) შესაბამისად. ის ასევე არის ანგარიშვალდებული (მუხლი 2033, სამოქალაქო კოდექსი).

ბერძნული სამართალში არ არის ანგლო-საქსონური „*trust*”-ის მსგავსი ინსტიტუტი, მით უფრო, რომ მას არ მოუხდენია 1985 წლის 1 ივლისის ჰააგის კონვენციის რატიფიცირება. თუმცა „*trust*”-ი ნახსენებია 2961/2001 კანონის 17 მუხლის 4 პუნქტში. გაწერილია, რომ იმ შემთხვევაში თუ ანდერძის მიხედვით, უცხოელის ქონება, რომელიც ექვემდებარება გადასახადებს საბერძნეთში, ექცევა „*trust*”-ის ადმინისტრირების ქვეშ, უფლების მქონენი იბეგრებიან მისაღებ შემოსავლებზე და არსებული ქონების საბოლოო მემკვიდრეები იბეგრებიან სრული უფლებით, როგორც კი გახდებიან მფლობელები.

8. სამკვიდრო „*ab intestat*”

თუ კი „*de cuius*” ცოცხალია მეუღლის და შვილების გარდაცვალების შემდეგ, მეუღლეს ეკუთვნის მეოთხედი და შვილები ინაწილებენ დანარჩენ სამ მეოთხედს (მუხლი 1813 და 1820, სამოქალაქო კოდექსი). თუ მეუღლეს გააჩნია მონაწილეობის უფლება ქორწინების დროს შეძენილ ქონებაში, პირველ რიგში უნდა დარეგულირდეს ეს მონაწილეობა (მუხლი 1400 და შემდეგი, სამოქალაქო კოდექსი).

თუ კი „*de cuius*” არ ჰყავს შთამომავლები, მეუღლე მიიღებს სამკვიდროს ნახევარს, როდესაც ის მემკვიდრეა გარდაცვლილის მშობლებთან ან დებთან და ძმებთან ერთად; მეორე ნახევარი თანაბრად გადადის ოჯახის წევრებზე (მუხლი 1814 და 1820, სამოქალაქო კოდექსი).

ნათესავეებზე მემკვიდრეობა გადადის რიგითობის მიხედვით (მუხლი 1819, სამოქალაქო კოდექსი). ყოველ რიგში მოქმედებს წარმომადგენლობის პრინციპი და სამკვიდროს გადასვლის პრინციპი შტოების (*souches*) მიხედვით. სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის გარდაცვლილის შთამომავლის ადგილს იკავებენ მისი მეშვეობით გარდაცვლილთან დანათესავებული შთამომავლები (მუხლი 1813, პ. 2, სამოქალაქო კოდექსი).

პირველ რიგში “*ab intestat*” (სამკვიდროში) მემკვიდრეებად სახელდებიან გარდაცვლილის შთამომავლები. ერთ შტოში (*souche*) მათ შორის ყველაზე ახლობელი გამორიცხავს ყველაზე შორეულს (მუხლი 1813, პ. 1, სამოქალაქო კოდექსი).

შვილები ინაწილებენ თანაბარ წილებს. სამოქალაქო კოდექსის 1578 მუხლის თანახმად, ნაშვილები შვილის პოზიცია მშვილებლის მიმართ გათანაბრებულია კანონიერ შვილთან და გააჩნია სამკვიდრო უფლებები მშვილებელთან მიმართებაში.

მეორე რიგში ერთად სახელდებიან გარდაცვლილის დედ-მამა, დები და ძმები, ისევე როგორც (ადრე) გარდაცვლილი დების და ძმების შვილები და შვილიშვილები. დედ-მამა და დები და ძმები იღებენ სამკვიდროს თანაბარ წილებს, (ადრე)გარდაცვლილი დების და ძმების შვილები და შვილიშვილები კი შტოების მიხედვით. (ადრე)გარდაცვლილი დების და ძმების შვილები და შვილიშვილები გამორიცხავენ იმავე შტოს შვილიშვილებს (მუხლი 1814, სამოქალაქო კოდექსი).

სხვა ქორწინებით დები და ძმები, რომლებიც მემკვიდრეები არიან დედ-მამასთან, ღვიძლ დებთან და ძმებთან თუ მათ შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად, მიიღებენ იმ წილის ნახევარს, რომელიც ღვიძლ დებზე და ძმებზე მოდის. ასევე, სხვა ქორწინებიდან (ადრე)გარდაცვლილი დების და ძმების, შვილები და შვილიშვილები ღებულობენ ნახევარს (მუხლი 1815).

მესამე რიგში სახელდებიან გარდაცვლილის ბებია პაპები, და მათ შთამომავლებს შორის შვილები და შვილიშვილები. თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში, ორივე ხაზის ბებია პაპები, ცოცხლები არიან, მხოლოდ ისინი არიან თანაბარი წილების მემკვიდრეები (მუხლი 1816, პ. 1, სამოქალაქო კოდექსი).

თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში დედის ან მამის მხრიდან ბებია ან პაპა აღარ არის ცოცხალი, ამ გარდაცვლილის შვილები და შვილიშვილები იკავებენ მის ადგილს. შვილების და შვილიშვილების არარსებობის შემთხვევაში, ამ გარდაცვლილის წილი გადადის ამავე ხაზის ცოცხლად დარჩენილ პაპაზე ან ბებიაზე, და მის არარსებობისას, მის შვილებზე და შვილიშვილებზე. თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში დედის ან მამის მხრიდან პაპა ან ბებია აღარ არიან ცოცხლები, და თუ არ არსებობს ამ გარდაცვლილების შვილები და შვილიშვილები, მეორე ხაზის პაპა ან ბებია, ან მათი შვილები ან შვილიშვილები არიან ერთადერთი მემკვიდრეები (მუხლი 1816, პ. 2, სამოქალაქო კოდექსი).

შვილები თანაბარი წილების მემკვიდრეები არიან და გამორიცხავენ იგივე შტოს შვილიშვილებს. შვილიშვილები მემკვიდრეები არიან შტოების მიხედვით (მუხლი 1816, პ. 3, სამოქალაქო კოდექსი).

მეოთხე რიგში სახელდებიან გარდაცვლილის დიდი ბებია პაპები. სამკვიდროს გახსნის მომენტში, ცოცხლად მყოფი დიდი ბებია პაპები თანაბარი წილების მემკვიდრეები არიან, მიუხედავად იმისა თუ ერთსა თუ სხვა და სხვა ხაზს მიეკუთვნებიან (მუხლი 1817, სამოქალაქო კოდექსი). შტოების მიხედვით მემკვიდრეობისას, პირი, რომელიც ერთდროულად მიეკუთვნება რემოდენიშე შტოს, ღებულობს მის კუთვნილ წილს ყველა

შტომში. ყოველი ეს წილი განიხილება როგორც ცალკეული სამკვიდრო წილი (მუხლი 1818, სამოქალაქო კოდექსი).

არცერთი ნათესავი არ სახელდება მემკვიდრედ, ვიდრე არსებობს წინა რიგის დასახელებული ნათესავი (მუხლი 1819, სამოქალაქო კოდექსი).

ცოცხლად დარჩენილი მეუღლე სახელდება *“ab intestat”* მემკვიდრედ სამკვიდროს მეოთხედზე, როდესაც მემკვიდრეა პირველი რიგის ნათესავებთან ერთად, და ნახევარზე, როდესაც მემკვიდრეა მომდევნო რიგების ნათესავებთან ერთად. თუ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე *“ab intestat”* მემკვიდრეა, მეორე, მესამე თუ მეოთხე რიგის ნათესავებთან ერთად, მას გარდა კუთვნილი სამკვიდრო წილისა *préciput* ეკუთვნის ავეჯი, საოჯახო ჭურჭელი, ტანისამოსი თუ სხვა მსგავსი საოჯახო ნივთები, რომელიც იყო ცოცხლად დარჩენილი მეუღლის სარგებლობაში ან ორივე მეუღლის სარგებლობაში (მუხლი 1820, სამოქალაქო კოდექსი). პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე რიგის ნათესავების არარსებობის შემთხვევაში, ცოცხლად დარჩენილი მეუღლე სახელდება როგორც *“ab intestat”* მემკვიდრე სამკვიდროს სრულად მისაღებად (მუხლი 1821, სამოქალაქო კოდექსი).

ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს ვერ ექნება ვერც სამკვიდროზე და ვერც *préciput* უფლება, თუკი გარდაცვლილს აპირებდა მოეთხოვა განქორწინება, მეუღლის ბრალეულობის გამო და ამ მიზნით წამოწყებული ჰქონდა შესაბამისი ქმედება (მუხლი 1822, სამოქალაქო კოდექსი).

სამოქალაქო სოლიდარობის პაქტის (Pacs) შემთხვევაში, ცოცხლად დარჩენილი პარტნიორი სახელდება *“ab intestat”* მემკვიდრედ სამკვიდროს მეექვსედზე, როდესაც მემკვიდრეა პირველი რიგის ნათესავებთან ერთად, და სამკვიდროს მესამედზე, როდესაც შემდგომი რიგების ნათესავებთან ერთად არის მემკვიდრე. პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე რიგის ნათესავების არარსებობის შემთხვევაში, ცოცხლად დარჩენილი პარტნიორი სახელდება *“ab intestat”* მემკვიდრედ სამკვიდროს სრულად მისაღებად (მუხლი 11, კანონი 3719/2008I).

თუ *“ab intestat”* მემკვიდრეს ჩამოერთვა მისი უფლებები, სამკვიდროს გახსნამდე ან მის გახსნის შემდეგ, და თუ ამის შედეგად მეორე *“ab intestat”* მემკვიდრის წილი გაიზარდა, ეს გაზრდილი განაკვეთი განიხილება როგორც განსხვავებული სამკვიდრო წილი, რაც შეეხება ამ მემკვიდრის თუ უფლებამართმეულ მემკვიდრის ლეგატსა და დანაკისრს, ისევე როგორც ანგარიშვალდებულებას (მუხლი 1823, სამოქალაქო კოდექსი).

თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში არ არსებობს არც კანონიერი მკვიდრი ნათესავი და არც გარდაცვლილის მეუღლე, სახელმწიფო სახელდება *“ab intestat”* მემკვიდრეთ. სახელმწიფოს არ შეუძლია უარის თქმა სამკვიდროზე. გარდაცვლილს არ შეუძლია გამორიცხოს ის ანდერძით, რადგან არავის შეუძლია გარდაიცვალოს მემკვიდრის გარეშე (მუხლი 1824, სამოქალაქო კოდექსი).

9. სამკვიდრო პაქტი

სამოქალაქო კოდექსის 368 მუხლის თანახმად, ჯერ ცოცხალი პირის მემკვიდრეობაზე კონტრაქტის გაფორმება მასთან ან მესამე პირთან, არის ბათილი, მიუხედავად იმისა, ეხება თუ არა ის სამკვიდროს სრულად თუ მის ნაწილს.

ბათილია შეთანხმება (convention) ცოცხალი ადამიანის სამკვიდროს თაობაზე, რომელიც მასთან ან მესამე პირთან არის შედგენილი, და მოიცავს სამკვიდროს სრულად ან მის ნაწილს. იგივეა, იმ შეთანხმების შემთხვევაში, რომლითაც იზღუდება უკანასკნელი ნების გამოხატულების თავისუფლება.

სამოქალაქო კოდექსის 366 მუხლი კრძალავს სამკვიდრო კონტრაქტების (გარიგებების) დადებას: დაუშვებელია კონტრაქტით გადაიცეს მომავალი სამკვიდრო, სრულად ან ნაწილობრივ.

ზოგადად, სამკვიდროზე წინასწარი უარის თმა და სავალდებულო წილზე წინასწარი უარის თქმა დაუშვებელია. მხოლოდ სხვადასხვა ეროვნების წყვილის (ან პარტნიორების) შემთხვევაში, უცხოელ მეუღლეს (თუ კონტრაქტის შედგენისას უცხოეთში ცხოვრობს) შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ, უსასყიდლოდ ან გადახდის მეშვეობით უარი თქვას მემკვიდრეობაზე, რომელიც მას ეკუთვნის ბერძნული კანონმდებლობის თანახმად.

მართლაც, ზოგადი აკრძალვის გამონაკლისი გათვალისწინებულია 472/1974 საკანონმდებლო დეკრეტში, მუხლი 1, პ. 1, უცხოეთში მცხოვრებ ბერძნული ეროვნების პირების ზოგიერთ სამკვიდრო საკითხის რეგულაციების შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1974 წლის 25 ივნისს ("Lex Onassis"): პარტნიორებს შორის უცხოეთში დადებული კონტრაქტები, შესრულებული მათი უცხოეთში ცხოვრობის დროს და რომელთაგანაც ერთი ეროვნებით ბერძენია და მეორე სხვა ეროვნების, და რომლითაც უცხოელი უარს ამბობს რაიმეს სანაცვლოდ თუ მის გარეშე, საკუთარ სამკვიდრო უფლებებზე, რომელიც ქორწინებით აქვს მინიჭებული, მისი ბერძნული ეროვნების მეუღლის სამკვიდროს ფარგლებში, ვალიდურია (ნამდვილია) იმ პირობით, რომ ზემოხსენებული ქორწინება, რომლის გათვალისწინებით არის შედგენილი ეს კონტრაქტები შესრულებულია (célébré). ეს უარის თქმა შეიძლება ეხებოდეს სამკვიდრო უფლების მთლიანობას ან მის პროპორციულ ნაწილს (quotité), და შესაძლოა გავრცელდეს სავალდებულო წილის უფლებაზე.

იმავე მუხლის 2 პ. თანახმად, 1 პ. რეგლამენტაცია ნამდვილია, თუ იგივე პირობები შესრულებულია იმ კონტრაქტებისათვის, რომელიც შედგენილია ამ პირების ქორწინების კონტრაქტის დადების შემდეგ.

ბერძნული კანონმდებლობის თანახმად (5638/1932 კანონის 1 და შემდეგი მუხლი, შესწორებული 951/1971 საკანონმდებლო დეკრეტის პირველი მუხლით), შესაძლებელია შეთანხმება იმის თაობაზე, რომ თუ ორი ან მეტი პირის საერთო ანგარიშის ფულადი დეპოზიტის რომელიმე მფლობელი გარდაიცვლება, დეპოზიტი და ანგარიში გადაეცეს ცოცხლად დარჩენილებს.

10. გაყოფა

ყოველ თანამონაწილეს აქვს უფლება ნებისმიერ დროს მოითხოვოს განუყოფელობის შეწყვიტა (მუხლი 795, სამოქალაქო კოდექსი). განუყოფელობის შეწყვიტა ხორციელდება გაყოფის მეშვეობით. თუ თანამონაწილეები ვერ თანხმდებიან გაყოფაზე, ყოველივეს

შეუძლია მოითხოვოს სასამართლოს მიერ გაყოფა, სამოქალაქო პროცედურის დებულებების თანახმად.

სასამართლოს გარეშე უძრავი ქონების გაყოფის აქტი უნდა შედგეს ნოტარიუსთან.

საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის 1895 მუხლი, სათაურით „ ანგარიშვალდებული უძრავი ქონება“ ითვალისწინებს, რომ შთამომავლები, როდესაც მემკვიდრეები „*ab intestat*“ მემკვიდრეები ხდებიან, ვალდებული არიან ერთმანეთს ამცნონ ნებისმიერი საჩუქრის ან ნებისმიერი რამ რაც მათ მიენიჭათ ნებისმიერი სახით, გარდაცვლილთან დაუპირისპირებლად (*sans contrepartie*), მისი სიცოცხლის დროს, ისევე როგორც ის თანხები, რაც მან გაიღო მათი პროფესიული მომზადებისათვის, თუკი ეს აღემატებოდა გარდაცვლილის ქონების მდგომარეობის შესაბამისობას. ანგარიშის ვალდებულება არ არსებობს, თუკი გარდაცვლილს დააფიქსირებული აქვს ეს (*stipulé*) ზემოაღნიშნული სერვისის (*prestation*) ან ხარჯის დროს.

სამოქალაქო კოდექსის 1891-1894 მუხლების თანახმად, წინაპარს შეუძლია მისი სიცოცხლის დროს, კონტრაქტით გაყოს საკუთარი არსებული ქონება შთამომავლებს შორის. თუმცა, წინაპარს შეუძლია გამოითხოვოს კონტრაქტის ეს მუხლები ანდერძის მეშვეობით. საქმე ეხება გარდაცვალებასთან დაკავშირებულ იურიდიულ აქტს („*mortis causa*“), რადგანაც მისი კანონიერი შედეგები ხორციელდება განმკარგავის გარდაცვალების შემდეგ.

11. მემკვიდრის პასუხისმგებლობა

სამოქალაქო კოდექსის 1901 მუხლის თანახმად, მემკვიდრე პასუხისმგებელია ასევე საკუთარი მემკვიდრეობის სამკვიდრო ვალდებულებებზე.

ამ შედეგის თავიდან ასაცილებლად, არსებობს საშუალება სამკვიდრო ჯგუფიდან შეიქმნას ცალკეული მემკვიდრეობის ჯგუფი, სხვა მმართველობით. ამისათვის არსებობს ორი საშუალება: მემკვიდრის მიერ შედგეს საინვენტარო ნუსხა ან სამემკვიდრეო სამართლოს მიერ ლიკვიდაცია.

საინვენტარო ნუსხით სამკვიდროზე დათანხმება საშუალებას აძლევს მემკვიდრეს შეადგინოს სამკვიდრო ქონების საინვენტარო ნუსხა სამკვიდრო ქონებაზე, სამკვიდროზე უარის თქმის ვადებში განცხადების შემდეგ. ამგვარად, ვინც თანხმდება სამკვიდროს ნუსხით მიღებაზე, ვალდებულია სამკვიდროს მხოლოდ ვალდებულებებზე მის აქტივამდე, და არანაირი გაურკვეველობა არ არსებობს მის უფლება ვალდებულებებს შორის სამკვიდროსთან მიმართებაში (მუხლი 1902 და შემდეგი, სამოქალაქო კოდექსი). მემკვიდრემ უნდა დაასრულოს საინვენტარო ნუსხა ოთხი თვის ვადაში დაკლარირებიდან, რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი. მემკვიდრეს აქვს უფლება მაღალი ინსტანციის სასამართლოს წინაშე გააკეთოს დეკლარირება (განაცხადოს) ნუსხის თანახმად სამკვიდროს მიღების თაობაზე.

სამართლოს მიერ ლიკვიდაცია დგინდება მემკვიდრეობითი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სამკვიდროს ნებისმიერი კრედიტორის მოთხოვნით (მუხლი 1913, სამოქალაქო კოდექსი). ეს გადაწყვეტილება არ იწვევს მემკვიდრის პასუხისმგებლობის შეზღუდვას სამკვიდროს ვალდებულებებთან მიმართებაში, თუკი ეს მემკვიდრე არ არის

ნუსხის თანახმად სამკვიდროს მემკვიდრე (მუხლი 1922, სამოქალაქო კოდექსი). სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე სამკვიდრო უფლება მოვალეობები კანონის ძალით გამიჯნულია მემკვიდრის ქონებასთან და წარმოადგენს განსხვავებულ მასას, რომელიც თავსდება სასამართლო გადაწყვეტილებით დანიშნულ აღმასრულებლის (ლიკვიდატორის) ადმინისტრირების ქვეშ (მუხლი 1914, სამოქალაქო კოდექსი). ეს უკანასკნელი აქვეყნებს ამ გადაწყვეტილების შინაარსს (résumé) პრესაში და სამკვიდრო კრედიტორებს ავალდებულებს წარადგინონ დავალიანებები (ვალები) და შესაბამისი დამადასტურებელი საბუთები. ყველა კრედიტორმა უნდა წარმოადგინოს დავალიანებები (ვალები) ოთხი თვის ვადაში რეზიუმეს (résumé) გამოქვეყნებიდან. ამ ვადიდან სამი თვეში ლიკვიდატორი ვალდებულია დახუროს სამკვიდროს საინვენტარო ნუსხა (მუხლი 1917, სამოქალაქო კოდექსი). თუ აქედან გამომდინარე აღმოჩნდა, რომ სამკვიდროს აქტივი არასაკმარისია ვალდებულებების გასაქვითად, ლიკვიდატორი ვალდებულია ნებისმიერ გადახდამდე კრედიტორისათვის, მოითხოვოს სასამართლოსაგან (ყველა) კრედიტორისათვის გადახდის წესი; კანონით მინიჭებული პრივილეგიები, ისევე როგორც გაფორმებული იპოთეკები და გარანტიები, რომელიც გარდაცვლილის სიკვდილამდეა განხორციელებული, ძალაში რჩება. ამგვარად, სამკვიდროს კრედიტორები ობიექტურად კმაყოფილდებიან, ისე რომ არცერთი მემკვიდრე სხვებთან მიმართებაში არ არის პრივილეგირებული.

პასუხისმგებლობის შეზუდება (ლიმიტირება) „*ipso jure*“-ს წარმოადგენს მემკვიდრეთა გარკვეული კატეგორიისათვის, როგორცაა, მაგალითად არასრულწლოვანთა და ქმედუნაროთა კატეგორია.

12. ჩუქება

ჩუქება, როგორც კონტრაქტი ცოცხლებს შორის წარმოადგენს უსასყიდლო საკონტრაქტო გარიგებებს, რომელიც გაწერილია სამოქალაქო კოდექსის 496–512 მუხლებში, ვალდებულებების სპეციალურ სამართალში.

სამოქალაქო კოდექსის 496 მუხლში მოცემული დეფინიციის მიხედვით, ჩუქება წარმოადგენს მჩუქებლის ქონების კონკრეტული ნივთის უსასყიდლოდ გადაცემას (sans contrpartie), ორივე მხარის ნების თანახმად. შესაბამისად, ის გულისხმობს მჩუქებლის ქონების შემცირებას, რომელიც უდრის დასაჩუქრებულის ქონების შესაბამის ზრდას (ნამატს). ჩუქების ეს ვიწრო დეფინიცია მიუთითებს, რომ საქმე ეხება *ლბერალითის* (liberalité), რამეთუ ქმედება ნებაყოფლობით (librement) ხორციელდება მჩუქებლის მიერ.

არსებობს ჩუქების სხვადასხვა ფორმები :

- ჩუქება ანაზღაურების მიზნით, რათა ერთგვარად ანაზღაურდეს მჩუქებლის მიმართ დასაჩუქრებულის მიერ შესრულებული სერვისი თუ კეთილი საქმე.
- შერეული საჩუქარი („*negotium mixtum cum donatione*“), რომელიც შერეულ კონტრაქტში ერთდროულად მოიცავს ჩუქებას და (ასევე) საზღაურიან კონტრაქტს

(მაგალითად, ნასყიდობა ან ქირავნობა). ამ შემთხვევაში არსებობს თეორიული წინააღმდეგობა შესაბამის დებულებებთან დაკავშირებით.

- სიმულირებული ჩუქება, თვალთმაქცური ორხმრივ გამჟღავნებულ კონტრაქტში (contrat synallagmatique apparant) (ძირითადად ფისკალური სამართლის მიზეზების გამო): ამ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 138 მუხლის თანახმად, გამჟღავნებული აქტი ბათილია, და რეალური კონტრაქტი ნამდვილი, თუკი ეს მხარეთა ნებაა და თუ მისი შესადგენი პირობები შესრულებულია.
- ჩუქების დაპირება. დაპირებები ნამდვილია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სანოტარო ფორმით არის შედგენილი, და გულისხმობს მჩუქებლის არსებული ქონების ერთ ელემენტს, დაპირებები მომავალი ელემენტის თაობაზე ბათილია სამოქალაქო კოდექსის 366 მუხლის თანახმად.
- ჩუქება გარკვეული პირობით (გაუქმებადი ან შეჩერებადი გარდა *“mortis causa”* ჩუქებისა) (donation pour cause de mort).
- გარკვეული ტიპის ჩუქება (*“sub modo”*). ის მოიცავს ერთ ან რამოდენიმე დანაკისრს დასაჩუქრებულის მხრიდან, მას მერე, რაც მჩუქებელმა შეასრულა ჩუქებასთან დაკავშირებული ვალდებულება. იმ შემთხვევაში თუ მჩუქებელი გარდაიცვალა, და დანაკისრი საჯარო და სოციალურ ხასიათს ატარებს, ხელისუფლებას შეუძლია მოსთხოვოს დასაჩუქრებულს დანაკისრის აღსრულება (მუხლი 503, სამოქალაქო კოდექსი). თუმცა, ამ უკანასკნელს შეუძლია უარის თქმა ნებისმიერ დანაკისრის აღსრულებაზე, თუკი გაჩუქებული ნივთის ღირებულება არ ფარავს დანაკისრის აღსრულების ხარჯებს და და განსხვავება სხვაგვარად არ არის შევსებული (მუხლი 504, სამოქალაქო კოდექსი).
- და ჩუქება რეგულარული სერვისების სახით. რეგულარული სერვისების სახით ჩუქების ვალდებულება წყდება მჩუქებლის გარდაცვალების მომენტში, თუ არ არსებობს საპირისპირო მუხლი ჩუქების კონტრაქტში, (მუხლი 502, სამოქალაქო კოდექსი).

ჩუქება გულისხმობს მხარეების მიერ იურიდიული აქტების სრულ ქმედუნარიანობას. თუკი დასაჩუქრებული იმყოფება მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ, მაშინ მისი კანონიერი წარმომადგენელი მონაწილეობს ჩუქების კონტრაქტში ქმედუნარო პირის მაგივრად. არასრულწლოვან პირთა შემთხვევაში კი, სამოქალაქო კოდექსის 134 მუხლის მიხედვით, ათ წელს მიღწეულ არასრულწლოვან პირს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს იურიდიულ აქტებში, რომლიდანაც მხოლოდ კანონიერ მოგებას მიიღებს (bénéfice légitime), ჩუქება მის სახელზე ნამდვილია, თუკი არ მოიცავს დანაკისრებს. გარდა ამისა, აქ ვრცელდება დებულება, რომლის მიხედვითაც მცირეწლოვან თოთხმეტ წელს მიღწეულ პირს შეუძლია თავისუფლად განკარგოს საკუთარი შრომით მოპოვებული საზღაური ან ის რაც მას გადაეცა საკუთარი მოხმარებისათვის ან თავისუფალი მოხმარებისათვის. (მუხლი 135, სამოქალაქო კოდექსი).

ამიტომ, ქონების შექმნაზე თავის შეკავება სხვის სასარგებლოდ, არ წარმოადგენს ჩუქებას, რადგანაც არ ხდება მჩუქებლის ქონების შემცირება. იგივეა შეუძენელ უფლებაზე, სამკვიდროზე ან ლეგატზე უარის თქმის შემთხვევაში (მუხლი 497, სამოქალაქო კოდექსი).

ჩუქების შეთავაზება შესრულებადია, თუკი მასზე თანხმობა გონივრულ ვადებში ხდება, რათა თავიდან იყოს არიდებული გაურკვეველობის ხანგრძლივი პერიოდი თანხმობამდე და კონტრაქტის შედგენამდე.

სამოქალაქო კოდექსის 498 მუხლის თანახმად, ჩუქება უნდა გაფორმდეს სანოტარო აქტის მეშვეობით, სხვა შემთხვევაში ის ბათილია. თუმცა, ფორმალური ხასიათი სავალდებულოა მხოლოდ უძრავი ქონების შემთხვევაში, რადგანაც ზემოხსენებული მუხლის 2 პუნქტი ითვალისწინებს, რომ მობილური ნივთი, რომელზეც არ არსებობს შედგენილი სანოტარო აქტი, ნამდვილია იმ მომენტიდან, როდესაც მჩუქებელი გადასცემს ამ ნივთს დასაჩუქრებულს. ამგვარად, საკმარისია მოხდეს მობილური ნივთის გადაცემა, თუნდაც ძვირფასი ნივთის (მაგალითად სამკაულის), რათა განხორციელდეს ჩუქება, ფორმის არარსებობა არ იწვევს კონტრაქტის ბათილობას. მაგრამ ეს წესი ვერ გავრცელდება მობილური ნივთების ისეთ კატეგორიაზე როგორცაა ავტომობილები, რომლისთვის არსებობს სპეციალური დებულებანი და რომელიც კვლავ უკავშირდება სავალდებულო სანოტარო ფორმის წესს.

რაც შეეხება ჩუქების შედეგებს, ზოგიერთ შემთხვევაში, ისინი ასევე დამოკიდებულია სხვა ფორმალობების შესრულებაზე. ეს ეხება მაგალითად, უძრავ ქონებას, რომელზეც რეალური უფლების გადაცემა დამოკიდებულია სანოტარო აქტის დარეგისტრირებაზე უძრავი ქონების რეესტრში, უძრავი ქონების ადგილის მიხედვით. ასევე, მესამე პირის მიმართ ვალის ჩუქებით შეწყვეტისას, სანოტარო აქტის გარდა, საჭიროა შესაბამისობა კონტრაქტის სპეციალურ მუხლებთან, როგორცაა ჩუქების მნიშვნელობა მესამე პირთათვის.

მჩუქებელი პასუხისმგებელია მხოლოდ სიყალბეზე ან სერიოზულ დაუდევრობაზე (მუხლი 499, პ.1, სამოქალაქო კოდექსი). ეს პასუხისმგებლობა კერძოდ ეხება ჩუქების კონტრაქტის შეუსრულებლობას და იმ ზარალის ანაზღაურებას დასაჩუქრებული პირისათვის, რომელიც მას დაადგა შეუსრულებლობის გამო. მჩუქებელი არ არის ფაქტიური და იურიდიული პასუხისმგებელი გაჩუქებული ნივთის ხარვეზებზე, ის პასუხისმგებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მას განცხადებულია აქვს, რომ ამ ნივთს ასეთი ხარვეზები არ გააჩნდა, ან მოტყუებით დამალა მათი არსებობა (მუხლი 499, პ.2, სამოქალაქო კოდექსი). ის არ არის ვალდებული გადაიხადოს მორატორიული პროცენტები (*intérêts moratoires*) (ვადების გადაცილება) (მუხლი 500, სამოქალაქო კოდექსი). და ბოლოს, მას უფლება აქვს უარი თქვას ჩუქების აღსრულებაზე, თუკი ეს აღსრულება, მისი სხვა ვალების გათვალისწინებით, საფრთხეს შეუქმნის ან მის საკუთარ მოვლა-პატრონობას ან იმ ალიმენტებს, რომელიც კანონის ძალით სხვა პირებისათვის აქვს მისაწოდებელი (მუხლი 501, სამოქალაქო კოდექსი).

მჩუქებელს უფლება აქვს გააუქმოს (უკან გამოთხოვოს) ჩუქება შემდეგ შემთხვევებში :

- თუკი დასაჩუქრებული უმადურობას იჩენს სერიოზული დანაშაულის სახით მჩუქებლის, მისი მეუღლის ან ახლო ნათესავების მიმართ; განსაკუთრებულად მძიმე დარღვევად მიიჩნევა დასაჩუქრებულის მიერ მჩუქებლისათვის ალიმენტების მიუწოდებლობა (მუხლი 505, სამოქალაქო კოდექსი).
- თუკი დასაჩუქრებული, საკუთარი ბრალეულობით, უგულველყოფს ჩუქებასთან დაკავშირებულ დანაკისრების შესრულებას (მუხლი 507, სამოქალაქო კოდექსი).

- ან თუკი ჩუქება შესრულებულია კანონიერი მემკვიდრეების არმქონე პირის მიერ, და მას უჩნდება კანონიერი შვილი ან ხდება შემდგომი ქორწინებიდან შვილის ლეგიტიმაცია (მუხლი 508, სამოქალაქო კოდექსი).

მჩუქებლის მემკვიდრეს შეუძლია სასამართლოში წარადგინოს ჩუქების გაუქმება სამოქალაქო კოდექსის 507 მუხლში გათვალისწინებულ შემთხვევაში, ისევე როგორც იმ შემთხვევაში, თუ დასაჩუქრებულმა განზრახ მოკლა მჩუქებელი ან წინააღმდეგობას უქმნის ჩუქების გაუქმებას (მუხლი 506, სამოქალაქო კოდექსი).

გაუქმების უფლება არასავალდებულოა (facultatif), დამოკიდებულია მჩუქებლის თავისუფალ ნებაზე. მისი აღსრულება დამოკიდებულია მხოლოდ მჩუქებლის შესაბამის ცალმხრივ განცხადებაზე დასაჩუქრებულისადმი. ჩუქების გაუქმებამდე მჩუქებლის მიერ მიწოდებული სერვისის ხარჯები მოითხოვება „*De in rem verso*“ შესახებ დებულებების თანახმად (enrichissement sans cause) (მუხლი 509, სამოქალაქო კოდექსი).

რამეთუ ჩუქების დაბრუნების ვალდებულება პირადი საქმეა, ყველა ქმედება შესრულებული დასაჩუქრებულის მიერ მესამე პირებთან მიმართებაში ნამდვილი რჩება, და სავარაუდო რეალური უფლებები შეძენილი მესამე პირთა სასარგებლოდ შეუქცევადია, გარდა მჩუქებლის შესაძლებლობისა დაუპირისპირდეს მესამე პირებს, რომლებმაც ქონება უსასყიდლოდ შეიძინეს, სამოქალაქო კოდექსის 913 მუხლის თანახმად.

ჩუქების გაუქმება შეუძლებელია როდესაც:

- მჩუქებელი პატიობს დასაჩუქრებულს (მუხლი 510, სამოქალაქო კოდექსი).
- გასულია ერთი წელი იმ მომენტიდან, რაც გაუქმების უფლების მქონე პირმა შეიტყო გაუქმების მოტივი (მუხლი 510, სამოქალაქო კოდექსი).
- მჩუქებელი გარდაიცვალა (მუხლი 510, სამოქალაქო კოდექსი).
- ჩუქება განხორციელებულია განსაკუთრებული მორალური ვალდებულების მიზეზით ან საქველმოქმედო მოტივებით (მუხლი 512, სამოქალაქო კოდექსი).

გარდა ამისა, ბერძნული სამართალი სცნობს ჩუქებას „*mortis causa*“ (მუხლები 2032–2035, სამოქალაქო კოდექსი).

„*mortis causa*“ ჩუქება წარმოადგენს ჩუქების სპეციალურ კატეგორიას, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მემკვიდრეობით სამართალთან, რადგანაც მჩუქებლის გარდაცვალების შემდეგ ხორციელდება. ამის გამო ის გაწერილია სამოქალაქო კოდექსის 2032 და შემდგომ მუხლებში, რომელიც მემკვიდრეობითი სამართლის ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ მასზე ვრცელდება ასევე ჩუქების რეგულაციები (წესები), თუკი კანონში არ არის საპირისპირო დებულება.

ჩუქება „*mortis causa*“ პირობაა შეჩერებულ იქნას მჩუქებლის ადრეული გარდაცვალებისას ან ორივე კონტრაქტორი მხარის ერთდროული გარდაცვალების შემთხვევაში, ისე რომ დასაჩუქრებულმა ვერ ისარგებლა გაჩუქებული ქონებით (მუხლი 2032, სამოქალაქო

კოდექსი). ის სავალდებულოდ შედგენულია სანოტარო აქტის სახით და გაუქმებადია მჩუქებლის სურვილით (მუხლი 2033, სამოქალაქო კოდექსი).

ჩუქების მარეგულირებელი დებულებანი ვრცელდება „*mortis causa*” ჩუქებაზე (მუხლი 496, სამოქალაქო კოდექსი), თუ კანონში სხვა რამე არ არის გათვალისწინებული (მუხლი 2032, სამოქალაქო კოდექსი). მაგრამ სამოქალაქო კოდექსის 2035 მუხლი ითვალისწინებს, რომ უშუალოდ „*mortis causa*” ჩუქებისას, რომელიც ამცირებს მჩუქებლის მემკვიდრეობას და აზარალებს სავალდებულო წილის მემკვიდრეების სავალდებულო წილს თუ მევალეების (კრედიტორების) უფლებებს, საჭიროა გამოყენებული იქნას ლეგატის მარეგულირებელი დებულებანი (მუხლი 1967 და შემდგომი, სამოქალაქო კოდექსი).

სამოქალაქო კოდექსის 336 მუხლი კრძალავს სამკვიდრო კონტრაქტების შედგენას: დაუშვებელია მომავალი მემკვიდრეობა სრულად ან ნაწილობრივ გადაცემულ იქნას კონტრაქტის მეშვეობით. ამავდროულად, დასაშვებია კონტრაქტი არსებული (ეხლანდელი) მემკვიდრეობის სრულად გადასაცემად: მას უნდა ჰქონდეს სანოტარო აქტის ფორმა (მუხლი 367, სამოქალაქო კოდექსი). ამის გამო „*mortis causa*” ჩუქება შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ უკვე არსებულ ქონებას (მაგალითად უძრავი ქონება ან საბანკო ანარიში).

„*mortis causa*” ჩუქების შედეგად, შესაძლოა გაჩნდეს სამკვიდრო კონტრაქტით შედგენილი ანგარიშის მსგავსი იურიდიული ანგარიში, სადაც გაუქმება შესაძლოა გამოირიცხოს (მუხლი 2034, სამოქალაქო კოდექსი).

13. საერთაშორისო კერძო სამართალი

საბერძნეთს არ მოუწერია ხელი 1989 წლის 1 აგვისტოს ჰააგის კონვენციაზე სამკვიდროს შესახებ. თავის შეკავების ერთერთი მიზეზია არის ის რომ კონვენცია აღიარებს „*professio iuris*“ (მუხლი 5, პ.1); პირს შეუძლია დაასახელოს კანონი, რომელიც მის მემკვიდრეობაზე გავრცელდება, იმ პირობით, რომ გააჩნია ამ ქვეყნის ეროვნება ან იქ აქვს მუდმივი საცხოვრებელი.

სამაგიეროდ, 1961 წლის 5 ოქტომბრის ჰააგის კონვენცია ანდერძების ფორმის შესახებ კანონზე, საბერძნეთის მიერ ხელმოწერილია და რატიფიცირებული (კანონი 1325/1983. ის ძალაში შევიდა 1983 წლის 2 ოქტომბერს.

საერთაშორისო კონვენციების არარსებობის გამო, ბერძნული საერთაშორისო კერძო სამართალი რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის პირველი წიგნის მეორე თავის (ზოგადი წესები) თანახმად (მუხლები 4–33).

საბერძნეთში უცხოელისათვის პრინციპი შემდეგია: მას გათანაბრებული სამოქალაქო უფლებები აქვს ბერძენთან (მუხლი 4, სამოქალაქო კოდექსი).

სამართალი, რომელიც ვრცელდება მემკვიდრეობით სფეროში არის გარდაცვლილის უკანასკნელი ეროვნების კანონი. ეს სამართალი ვრცელდება ასევე საბერძნეთში არსებულ უძრავი ქონების მემკვიდრეობით გადასვლაზე (მემკვიდრეობის ერთიანობის პრინციპი).

სამოქალაქო კოდექსის 28 მუხლი განმარტავს, რომ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს იმ ეროვნების კანონი, რომლის *“de cuius”* ჰქონდა გარდაცვალების მომენტში. სამკვიდრო თავის მთლიანობაში ექვემდებარება გარდაცვლილის პერსონალურ კანონს – მის ეროვნულ კანონს – ქონების მდებარეობის მიუხედავად. კოდექსი აღიარებს მემკვიდრეობის ერთიანობის პრინციპს. მკვიდრეობა განიხილება, როგორც ერთადერთ კანონს დაქვემდებარებული ერთიანი მასა.

ბერძნული სამართალი არ სცნობს მემკვიდრეობის საკითხებში სამოქმედო კანონის გამოყენების (გავრცელების) არჩევანს (*„professio iuris“*).

სამოქალაქო კოდექსის 32 მუხლის თანახმად, უცხოური საერთაშორისო კერძო სამართლის წესები არ ვრცელდება. ბერძნული საერთაშორისო კერძო სამართლის ყველა წესი ადგენს უცხო ქვეყნების მატერიალური სამართლის გამოყენების შესაძლებლობას. სხვა კანონის გამოყენების შესაძლებლობის დადგენა ან გადამისამართება (*renvoi*) შეუძლებელია (მუხლი 32, სამოქალაქო კოდექსი).

ავიღოთ ერთი მაგალითი. გარდაიცვალა ფრანგი, რომელსაც უკანასკნელი საცხოვრებელი საბერძნეთში ჰქონდა. საბერძნეთში ის ტოვებს სახლს და სხვადასხვა საბანკო ანგარიშს. ბერძნული საერთაშორისო კერძო სამართლის თანახმად, გარდაცვლილის ეროვნებიდან დგინდება კანონის გავრცელება: შესაბამისად, ვრცელდება საფრანგეთის კანონი. ბერძნული სამოქალაქო კოდექსის 32 მუხლის თანახმად, არ უნდა იყოს გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ საფრანგეთის საერთაშორისო კერძო სამართალი გადმოამისამართებდა ბერძნულ სამართალზე (რადგანაც უძრავი ქონების შემთხვევაში, მემკვიდრეობის სფეროში გასავრცელებელი კანონის დასადგენად გადამწყვეტია უძრავი ქონების ადგილი). ამ მაგალითის შემთხვევაში, საფრანგეთის საერთაშორისო კერძო სამართალი იგივე შედეგს წარმოადგენდა, რადგანაც პირველ რიგში მიუთითებდა ბერძნულ სამართალზე. ბერძნული სამართალი გადამისამართებდა საფრანგეთის სამართალზე და ეს გადამისამართება აღიარებული იქნებოდა ფრანგულ კანონად.

კანონი, რომელიც ვრცელდება ანდერძის შედგენის ქმედუნარიანობაზე, არის გარდაცვლილის ეროვნული კანონი. ამ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 9 მუხლის ბ პუნქტის თანახმად, ვერ გავრცელდება 9 მუხლის ა პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი, რომლის თანახმადაც, უცხოელი, რომელიც საკუთარი ეროვნული კანონის თანახმად ქმედუნაროა იურიდიული აქტის შესაქმნელად, ითვლება ქმედუნარიანად ამ აქტის შესადგენად, თუ ბერძნული კანონი ანიჭებს მას ამ უნარს.

სიტუაცია რთულდება, როდესაც მეანდერძე იცვლის ეროვნებას ანდერძის შედგენის შემდეგ. ყველაზე მართებული აზრის თანახმად, ვრცელდება მეანდერძის ის ეროვნული კანონი, რომელიც მას ჰქონდა ანდერძის შედგენისას (მუხლი 7, სამოქალაქო კოდექსი). თუმცა, თუ მეანდერძეს არ ჰქონდა ეს უნარი ამ კანონის მიხედვით, მაგრამ გააჩნდა ის *„lex hereditatis“* თანახმად, სამოქალაქო კოდექსის 28 მუხლის მიხედვით, მაშინ ანდერძის ნამდვილობა აღიარებული უნდა იქნას.

კონტრაქტის კვალიფიკაცირება როგორც „სამკვიდრო კონტრაქტისა“ ხდება „*lege fori*“-ს მეშვეობით. მაგრამ (პირიქით), გავრცელდება „*lex hereditatis*“ რათა განისაზღვროს ამ კონტრაქტის შედგენის დასაშვებობა და როგორი იქნება შედეგები, როდესაც „*lex hereditatis*“ მას კრძალავს.

უცხოური კანონის თანახმად შექმნილი *trust*-ების აღიარებასთან დაკავშირებით ბერძნული (კერძოდ ფისკალური სასამართლოების) იურისპრუდენცია დამდგარა პრობლემის წინაშე. ჩაითვალა, რომ ანდერძით დანიშნული *trustee* (იურისპრუდენციის გადაწყვეტილებებში დასახელებული როგორც „ნდობის ადმინისტრატორი) მსგავსია საანდერძო აღმასრულებლისა ბერძნულ სამართალში. ამ შემთხვევაში, ბერძნული სამართალი იყო „*lex hereditatis*“. ჩაითვალა, რომ *trustee-თვის* ადმინისტრაციული ძალაუფლების მინიჭება არ ეწინააღმდეგებოდა საზოგადოებრივ წესრიგს. ამდენად, დასაშვები გახდა, რომ როდესაც „*lex hereditatis*“ არ მოიცავს *trustee*-ს ძალაუფლებების და უფლებების განხორციელების შემცველ დებულებებს, გავრცელდება *trust*-ის მარეგულირებელი კანონი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 3 მუხლის თანახმად, ბერძნები და უცხოელები ექვემდებარებიან სამოქალაქო სასამართლოების იურისდიქციას. ეს გულისხმობს, რომ ბერძნული სასამართლო ლოკალურად კომპეტენტურია გადაწყვეტილების მისაღებად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 30 მუხლის 3.1 თანახმად, დავები, რომელიც ეხება მემკვიდრეობითი უფლების აღიარებას ან სამკვიდროს გადანაწილებას, მემკვიდრის უფლებებს სამკვიდროს მფლობელის წინააღმდეგ, სხვა „*mortis causa*“ დებულებებიდან გამომდინარე უფლებებს, ან სავალდებულო წილიდან გამომდინარე უფლებებს, ან ანდერძის აღმსრულებლის წინააღმდეგ ანდერძის დებულებების აღსასრულებლად, ექსკლუზიურად წარმოადგენენ იმ ადგილობრივი სასამართლოს კომპეტენციას, სადაც „*de cuius*“ გარდაცვალების მომენტში ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ან თუნდაც საცხოვრისი. იგივე სასამართლო კომპეტენტურია მიიღოს გადაწყვეტილებები თანამემკვიდრეთა უფლებებზე სამკვიდროს განაწილებამდე, სამკვიდროსა თუ „*de cuius*“ ვალებთან მიმართებაში უფლებებზე, და ასევე მობილური ნივთების რეალურ უფლებებზე, რომელიც არ ფიგურირებს 1 პუნქტში, თუკი მოქმედება (*l'action*) შემოტანილია ორი წლის თავზე „*de cuius*“ გარდაცვალებიდან (მუხლი 30, 3.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი). იურისპრუდენციაში დომინანტი მოსაზრებაა, რომ ბერძნულ სასამართლებს არ აქვთ საერთაშორისო იურისდიქცია, თუკი „*de cuius*“-ს არ გააჩნდა არც მუდმივი საცხოვრებელი და არც საცხოვრისი საბერძნეთში გარდაცვალების მომენტში.

ბერძნული სასამართლოების საერთაშორისო იურისდუქციის შესაქმნელად, გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 3 და 810 და შემდგომი მუხლების კომბინაცია. გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია გააჩნია იმ ტერიტორიულ მორიგების სასამართლოს (რომელიშიც შედის მომრიგებელი მოსამართლე) სადაც „*de cuius*“ ჰქონდა საცხოვრებელი ადგილი სიკვდილის მომენტისათვის, ან თუნდაც საცხოვრისის ადგილის სასამართლოს, ან მორიგების სასამართლოს ქვეყნის დედაქალაქში, ათენში. შესაძლებელია, რომ ბერძნული სასამართლოები კომპეტენტურები იყვნენ ისეთ შემთხვევებშიც მიიღონ გადაწყვეტულება, სადაც ერთადერთი კავშირი ბერძნულ კანონმდებლობასთან არის ის, რომ სამკვიდრო ქონება ან მისი ნაწილი საბერძნეთში მდებარეობს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 780 მუხლის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებების (traités) დებულებების გარდა, უცხოური სასამართლო ხელისუფლების გადაწყვეტილებას ისეთივე ძალა აქვს საბერძნეთში, უპროცედუროდ, როგორსაც მას ანიჭებს საკუთარი ქვეყნის კანონი, თუ შესრულებულია შემდეგი პირობები :

- სასამართლო გადაწყვეტილებამ გამოიყენა მატერიალური კანონი, რომელიც ბერძნული კანონმდებლობის თანახმად უნდა ყოფილიყო გამოყენებული, და ის გამოიტანა კომპეტენტურმა სასამართლომ ამ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად.
- და სასამართლო გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება მორალურ საქციელს და საზოგადოებრივ წესრიგს.

რაც შეეხება სამკვიდრო მოწმობას (certificat d'héritier), უნდა ითქვას, რომ ეს სერტიფიკატი მოიცავს კანონიერ პრეზუმფციას მასში აღნიშნულ პირების სამკვიდრო უფლებებთან დაკავშირებით (მუხლი 1962, სამოქალაქო კოდექსი და მუხლი 821 სამოქალაქო საპროცესო კოდექსი). ამ სერტიფიკატის ბუნებაზე არსებობს ორი მოსაზრება: ზოგისთვის საქმე ეხება მატერიალური სამართლის ინსტიტუტს; ზოგისთვის კი საპროცესო სამართლის ინსტიტუტს. ორივე პოზიციაში, სერტიფიკატის მატერიალური შინაარსი და და მასში მოქცეული უფლებების მასშტაბი შედგენილია „*lex hereditatis*“-ს თანახმად.

საბერძნეთში უცხოური სამკვიდრო მოწმობის (სერტიფიკატის) ნამდვილობისათვის საჭიროა, რომ შესრულდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 780 მუხლით გათვალისწინებული პირობები. შესაბამისად, საჭიროა რომ სამკვიდრო უფლებები სერტიფიცირებული იქნას სამოქალაქო კოდექსის 28 მუხლით გათვალისწინებული კანონის თანახმად.

2015 წლის 17 აგვისტოს N650/2012 სამკვიდრო რეგულაციის ძალაში შემოსვლა სიღრმისეულად შეცვლის ზემოხსენებულ საერთაშორისო კერძო სამართლის წესებს. მართლაც, ის ერთიან ფორმას შესძენს იურისდიქციული კონფლიქტის წესებს და საკანონმდებლო კონფლიქტის წესებს. რეგულაცია გავრცელდება 2015 წლის 17 აგვისტოსათვის ან ამ თარიღის შემდგომ გარდაცვლილ პირებზე. ყოველ შემთხვევაში, რეგულაციის მუხლი 83 პარაგრაფი 2 ადასტურებს, რომ კანონების არჩევანი, რომელიც განხორციელდა რეგულაციის ძალაში შესვლის თარიღზე ადრე, ნამდვილი იქნება თუ გარდაცვლილი გარდაიცვალა რეგულაციის ძალაში შესვლის შემდეგ. მოყოლებული ამ თარიღიდან, რეგულაციის 21 მუხლის 1 პარაგრაფის თანახმად, მიკუთვნების კრიტერიუმს წარმოადგენს გარდაცვლილის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი მთლიანად სამკვიდროსათვის.

14. მემკვიდრეობით/ჩუქებით მიღებული შემოსავლის დაბეგრვა

კოდიფიცირებული კანონი 2961/2001 ადგენს სამკვიდრო და ჩუქების (საშემოსავლო) საგადასახადო კოდექსს ; ამ კანონში მრავალი შესწორება განხორციელდა (ყველაზე მნიშვნელოვანი 3091/2002, 3634/2008, 3815/2010, 3842/2010 კანონების მეშვეობით).

მემკვიდროეობის და ჩუქების საშემოსავლო გადასახადი წარმოადგენს (საშემოსავლო) გადასახადს სამკვიდრო წილების პირდაპირ, პერსონალურ და თანმიმდევრულს კაპიტალზე, ანუ, ის ცვალებადია და დამოკიდებულია მემკვიდრის, ლეგატარის თუ დასაჩუქრებულის მიერ მიღებული წილის თანხაზე ისევე, როგორც მათ ნათესავულ კავშირზე გარდაცვლილთან.

ლატარიაში მოგება და საცოცხლის დაზღვევა (თუ კონტრაქტი შედგენილია ბენეფიციარის მიუთითებლად), „ *de cuius*” კერძო საპენსიო ფონდი, უძრავი და მოძრავი ქონების უზუფრუქტის შერწყმა უფლების გარეშე მფლობელობასთან, ასევე ექვემდებარება დაბეგრვას.

მემკვიდროეობის და ჩუქების გადასახადის თანხა დამოკიდებულია გადასახადის კატეგორიაზე (რიგითობის მიხედვით). მაგალითად, პირველ რიგს წარმოადგენენ გარდაცვლილის მეუღლე, პარტნიორი (სამოქალაქო სოლიდარული პაქტის შემთხვევაში), შვილები, შვილიშვილები და მშობლები. მათთვის 150.000 ევრო განთავისუფლებულია გადასახადისაგან. 300.000 ევრომდე ღირებულების ქონება იბეგრება 1 პროცენტით, მეტი ღირებულების ქონება იბეგრება 5 პროცენტით. სამკვიდროს შემთხვევაში, „ *de cuius*” მეუღლეზე და ყველა მცირეწლოვან შვილზე ვრცელდება ბევრად უფრო ხელსაყრელი საგადასახადო პროცენტი, ანუ ბეგარისაგან განთავისუფლებულია 400.000 ევროს ოდენობა (მუხლი 25, პ.2, პ.ფ, კანონი 2981/2001).

მეორე საგადასახადო კატეგორიას მიეკუთვნებიან დანარჩენი შთამომავლები და წინაპრები, დები და ძმები, ბიძა და დეიდა, ძმისშვილები და დისშვილები, შვილები სხვა ქორწინებიდან, მეუღლის მშობლები, რძალი და სიძე. მათთვის გათვალისწინებულია დაუბეგრავი თანხა 30.000 ევროს ოდენობით. 70.000 ევრომდე ღირებულების ქონების გადასახადია 5 პროცენტი, 200.000 ევრომდე ღირებულების ქონების გადასახადია 10 პროცენტი, უფრო მაღალი ღირებულების ქონება იბეგრება 20 პროცენტით.

მესამე საგადასახადო კატეგორიაში 6.000 ევრო ოდენობის თანხა გათავისუფლებულია ბეგარისაგან. 66.000 ევრომდე ღირებულების ქონება იბეგრება 20 პროცენტით, 195.000 ევრომდე ღირებულების ქონება იბეგრება 30 პროცენტით, უფრო მაღალი ღირებულების ქონება იბეგრება 40 პროცენტით (მუხლი 29, კანონი 2961/2001, რომელშიც შევიდა მრავალი ცვლილება).

გათვალისწინებული უნდა იქნას ის, რომ ფულადი თანხების ჩუქების გადასახადისათვის, 296610/2001 კანონის 44 მუხლს, პ. 2, შემოყავს ზემოხსენებული წესების გამონაკლისი. ამ დებულებას შემოყავს სრულიად განსხვავებული გადასახადი : პირველი რიგის შემთხვევაში, მაშინვე გადაცემული ფულადი ჩუქება იბეგრება 10 პროცენტით პირველივე ევროდან, მეორე რიგის შემთხვევაში, ბეგარა

წარმოადგენს 20 პროცენტს, და მესამე რიგის შემთხვევაში ის 40 პროცენტით იბეგრება.

გადაცემული უძრავი ქონების დასაბეგრი ღირებულების დასადგენად, ითვალისწინებენ საწყის ფასს, რომელიც დარეგისტრირებულია იმის გათვალისწინებით თუ რომელ ურბანულ ზონაზე ან კვარტალზეა საუბარი, და საქმე ეხება ურბანულ შენობას, ბინას, მაღაზიას, თუ მიწის ნაკვეთს და ა.შ. (მუხლი 10, კანონი 296/2001).

რაც შეეხება აქციების დაბეგრვას, კანონი ანსხვავებს ღირებულ (კვოტირებულ) და არა-ღირებულ (არაკვოტირებულ) აქციებს. ბირჟაზე ღურებული აქციების სამკვიდრო გადასახადის გამოსათვლელად, მოგების ღირებულებად ითვლება ფისკალური ვალდებულების გაჩენის წინა დღის ღირებულება (მუხლი 12, პ.1, კანონი 2961/2001).

არაკვოტირებული აქციების საბაზრო ღირებულების დასადგენად, ითვალისწინებენ „*de cuius*” გარდაცვალებამდე ბოლო სემესტრში კომპანიის მიერ განხორციელებული აქციების ტრანსფერების აქტებს, აქციების შიდა ღირებულებას (რომელიც გამოითვლება დაბეგვრისას საწარმოს სუფთა (*nette*) პოზიციის გაყოფით მისი აქციების რიცხვზე), ისევე როგორც სხვა მნიშვნელოვან ფაქტორს, როგორცაა საწარმოს კლიენტურა თუ კომპანიის სახელი (ცნობადობა) ... (მუხლი 12, პ. 2 და 4, a, კანონი 2961/2001).

როდესაც გარდაცვლილის უკანასკნელი ნების თანახმად, მისი ქონება *trust*-შია მოთავსებული და მდებარეობს უცხოეთში, მაგრამ მისი ნასყიდობა იბეგრება საბერძნეთში, თანხების მართვაზე უფლების მქონეები („*trustees*“) მაშინათვე ვალდებულნი არან გადასახადზე, მაგრამ საბოლოო ბენეფიციარები იბეგრებიან სრულად ქონების მფლობელობაზე სამკვიდროს გახსნის დროს (მუხლი 17, პ.4, კანონი 2961/2001).

ჩვეულებრივ, დაბეგრვის მომენტად ითვლება, „*de cuius*” გარდაცვალების მომენტი (სამკვიდროე გახსნა), ან თუ საქმე ჩუქებას ეხება, გადაცემის საბოლოო აქტის (ჩუქების აქტი) შედგენის მომენტი. გარდაცვალებასთან დაკავშირებული ჩუქების შემთხვევაში „*mortis causa*”, დაბეგრვის მომენტად ითვლება მჩუქებლის გარდაცვალების მომენტი.

ბინადრობის პრინციპიდან გამომდინარე, დაბეგრვას ექვემდებარება უცხოელის უცხოეთში მდებარე მობილური ქონება, თუკი მისი უკანასკნელი საცხოვრებელი საბერძნეთში იყო (მუხლი 3, b, კანონი 2961/2001), გამონაკლისს წარმოადგენენ უცხოელები, რომლებზეც ვრცელდება ნაცვალგების დებულება და ამგვარად გათავისუფლებულნი არიან გადასახადებისაგან, თუკი ამგვარი განთავისუბლება გადასახადებისაგან გათვალისწინებულია საერთაშორისო კონვენციებში. თუკი უცხო

ქვეყნის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გადასახადებისაგან სრულ გათავისუფლებას, მაგრამ შეღავათიან დაქვემდებარებას, ნაცვალგების დებულებიდან გამომდინარე, საბერძნეთში დასაბეგრი სამკვიდრო წილიც ასევე დაექვემდებარება ნაკლებად მძიმე გადასახადს, უცხოური კანონით გათვალისწინებულის შესაბამისად (მუხლი 25, პ.1, d, კანონი 2961/2001). უცხოეთში მდებარე უძრავი ქონება არც ერთ შემთხვევაში არ ექვემდებარება დაბეგრვას.

„*de cuius*” ეროვნების პრინციპიდან გამომდინარე, სამკვიდრო გადასახადებს ექვემდებარება ბერძნული ეროვნების პირის უცხოეთში მდებარე მოძრავი ქონება, დამოუკიდებლად მისი საცხოვრებელი ადგილიდან, და მემკვიდრეების საცხოვრებლის და ეროვნების მიუხედავად. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს მინიმუმ ათი წლის ვადით უცხოეთში დაფუძნებულ ბერძნული ეროვნების პირის უცხოეთში მდებარე მოძრავი ქონება, მაგრამ ეს არ ეხება სახელმწიფო მოხელეს, სამხედროს მოსამსახურეს თუ საბერძნეთში დაფუძნებულ (არსებულ) კომპანიის თანამშრომელს, რომელიც ცხოვრობს უცხოეთში ამ პოზიციიდან გამომდინარე (მუხლი 25, პ.1, e, კანონი 2961/2001).

ტერიტორიული პრინციპიდან გამომდინარე, სამკვიდრო გადასახადებს ექვემდებარება უძრავი და მოძრავი, მატერიალური და არამატერიალური ქონება, რომელიც უცხოელების ან ბერძენი ეროვნების პირებს ეკუთვნის და მდებარეობს საბერძნეთში სამკვიდროს გახსნის მომენტში, „*de cuius*” და მისი მემკვიდრეების ეროვნებისა თუ საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად (მუხლი 3, პ.1, a, კანონი 2961/2001).

კანონი განიხილავს როგორც საბერძნეთში მყოფ ქონებად ნებისმიერი სხვა საწარმოების (კომპანიების) სოციალურ წილებს და აქციებს, რომელთა სათავო ოფისი საბერძნეთში მდებარეობს (მუხლი 3, პ.1, e, კანონი 2961/2001).

ბერძნული კანონმდებლობის და ზემოხსენებული პრინციპების თანახმად (ტერიტორიული, ეროვნული და საცხოვრებელი), სოციალური წილები და აქციები არ ექვემდებარება გადასახადებს, თუ უცხოელი ეროვნების „*de cuius*” უკანასკნელი საცხოვრებელი უცხოეთში ჰქონდა და კომპანიის სათავო ოფისი, რომლის მოწილედ იყო, უცხოეთში მდებარეობს.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, თუ საქმე ეხება ბერძენ მოქალაქეს, და მიუხედავად მისი უკანასკნელი საცხოვრებლისა, მისი მოძრავი ქონება, რომელიც მოიცავს აქციებს და სოციალურ წილებს, იბეგრება საბერძნეთში, მიუხედავად იმისა თუ ქონება მის საცხოვრებელში ან სხვა ქვეყანაში მდებარეობს, ისე რომ, მისი მემკვიდრეების ეროვნება და საცხოვრებელი არ თამაშობს აქ როლს. მოძრავი ქონება არ იბეგრება, თუ კი „*de cuius*” დაფუძნებულია უცხოეთში უწყვეტლივ მინიმუმ ათი წლის მანძილზე

და თუ ეს მისი სურვილის შედეგად მოხდა, და არ იყო თავს მოხვეული პროფესიული მიზეზებით (ანუ ის არ იყო სახელმწიფო მოხელე, სამხედრო ან საბერძნეთში მდებარე კომპანიის თანამშრომელი და რომელიც დაფუძნდა უცხოეთში თავის პოზიციიდან გამომდინარე) (მუხლი 25, პ.2, e, კანონი 2961/2001).

ბერძნული შიდა სამართალი ითვალისწინებს ასევე, რომ თუ „*de cuius*” დატოვებული აქვს მოძრავი ქონება ერთ ან რამოდენიმე სხვადასხვა ქვეყანაში, და რომელზეც მემკვიდრეებს გადახდილი აქვთ ყველა ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის თანახმად სამკვიდრო გადასახადი, ან მათ საბოლოოდ და შეუქცევადად დაუდასტურდათ სავალდებულო გადასახადი (*l'impôt dû*), ეს გადასახადი გადაყვანილი ევროში, გამოიქვითება საბერძნეთში სამკვიდრო მასაზე (უცხოეთში თუ საბერძნეთში) დაწესებული სამკვიდრო გადასახადიდან იმ თანხების შესაბამისად, რომელიც შეესაბამება ყოველ უცხო ქვეყანაში მყოფ ქონების ღირებულებას. გამოქვითული თანხის დასადგენად, სამკვიდრო მასაზე სავალდებულო გადასახადი გადანაწილდება საბერძნეთში და სხვა უცხო ქვეყანაში მყოფ სამკვიდრო მასის წილის მიხედვით (მუხლი 32, კანონი 2961/2001).

სამკვიდრო გადასახადის დეკლარაციის დასაშვებობის და მისი შინაარსის კონტროლის კომპეტენციას კანონი აკისრებს საგადასახადო სამსახურის უფროსს, „*de cuius*” უკანანასკნელი საცხოვრებლის მიხედვით, ან ადგილის მიხედვით, სადაც ის ძირითადად და პერმანენტულად იყო დასახლებული (მუხლი 66, პ.1, კანონი. 2961/2001).

თუ „*de cuius*” არც საბერძნეთში ცხოვრობდა და არც იქ გარდაიცვალა, კომპეტენტურია ათენში მდებარე უცხოეთში მცხოვრებ პირთა საგადასახადო სამსახური (მუხლი 66, პ.3, კანონი. 2961/2001).

თუ მას საცხოვრებელი უცხოეთში ჰქონდა, მაგრამ გარდაიცვალა საბერძნეთში, კომპეტენტურია ის ტერიტორიალური საგადასახადო სამსახური, სადაც გარდაიცვალა „*de cuius*” (მუხლი 66, პ.2, კანონი. 2961/2001).

რაც შეეხება უცხოეთში მცხოვრები პირების მემკვიდრეობის საგადასახადო საკითხებს, კომპეტენცია გადაეცემა ათენში მდებარე უცხოეთში მცხოვრებ პირთა საგადასახადო სამსახურს.

თუ „*de cuius*” უკანანასკნელი საცხოვრებელი (*dernier domicile*) ვერ მტკიცდება, სამოქალაქო კოდექსის 53 მუხლის თანახმად, საცხოვრებლად ითვლება მისი საცხოვრებელი (*résidence*) გარდაცვალების მომენტში.

ყველა მემკვიდრე და ლეგატერი, რომელიც ექვემდებარება ბერძნულ სამკვიდრო გადასახადებს, ვალდებულია დეტალურად წარმოადგინოს დეკლარაციაში მისი

წილის შემადგენელი ყველა მოძრავი თუ უძრავი ქონება ისევე როგორც ამ სამკვიდროსთან დაკავშირებული დავალიანებები და გადასახადები. ეს დეკლარაცია უნდა წარედგინოს საგადასახადო ადმინისტრაციას 6 თვის ვადაში საბერძნეთში გარდაცვალებიდან, და 12 თვის ვადაში თუ პირი უცხოეთში გარდაიცვალა, ან თუ მემკვიდრე ან ლეგატარი იქ ცხოვრობდა.

სამკვიდრო გადასახადი არ ანაზღაურდება სპონრანურად დეკლარაციის ხელმოწერისას. საგადასახადო ადმინისტრაცია ადგენს გადასახადის თანხას და გადახდის ვადებს. თუკი გადამხდელი სრულად ფარავს გადასახადს პირველივე შენატანით, მასზე ვრცელდება 5 პროცენტის გადასახადის შემცირება (მუხლი 82, პ.2, კანონი. 2961/2001).

როგორც წესი, ნოტარიუსი ადგენს სამკვიდროზე საგადასახადო დეკლარაციებს, მაგრამ მემკვიდრე მას წარადგენს გარდაცვლილის საცხოვრებელის მიხედვით საგადასახადო სამსახურში, და თვითონვე იხდის გადასახადს.

ყოველ შემთხვევაში, არ არსებობს ელექტრონული კომუნიკაციის სისტემა ნოტარიუსსა და საგადასახადო სამსახურს შორის, არც ნოტარიუსის ზოგადი ინფორმაციისათვის და არც სამკვიდრო საგადასახადო დეკლარაციების და საგადასახადო გამონათვალის (assiette d'impôt) წარსადგენად.

სამკვიდრო სფეროში, ორმაგი დაბეგრვის თავიდან ასარიდებლად, საბერძნეთმა ხელი მოაწერა შემდეგ ორმხრივ საერთაშორისო კონვენციებს :

ა) კონვენცია გერმანიასა და საბერძნეთს შორის 18-11-1910, რატიფიცირებული II 4033/1912 დადგენილებით (décret), რომელიც ძალაშია სრულიად გერმანიაში 1990 წლიდან.

ბ) კონვენცია ესპანეთსა და საბერძნეთს შორის 21.2/6.3.1919, რატიფიცირებულია კანონით 2423/1920, ინტერპრეტირებულია კანონით 2850/1954.

გ) კონვენცია შეერთებულ შტატებსა და საბერძნეთს შორის, რატიფიცირებულია დადგენილებით (décret) 2734/1953, შესწორებულია 12-2-1964 და რატიფიცირებულია კანონით 54/1967.

ე) კონვენცია იტალიასა და საბერძნეთს შორის, რატიფიცირებულია დადგენილებით (décret) 140/1974, რომელიც ძალაშია 1-1-1976 წლიდან.

ჩუქების სფეროში ორმაგი დაბეგრვის თავიდან ასარიდებლად, საბერძნეთმა ხელი მოაწერა ორმხრივ საერთაშორისო კონვენციას ფინეთთან, რატიფიცირებულია კანონით 2410/1996.